ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2016 წელი, 13 ივნისი, №11 (6424)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 40 თეთრი

# საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი



ახლახან ჩატარდა „ქართული ოცნების“ ყრილობა, რომელმაც ახალი თავმჯდომარე აირჩია და პარტიის შემდგომი გეგმები გამოაცხადა. ამით დასრულდა ერთი ეტაპი, რომელიც 2011 წლის ოქტომბერში დაიწყო და ახალი საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადებას შევუდექით.

როგორ ვაპირებ საარჩევნო პროცესში ჩართვას და პირადად რა მონაწილეობას მივიღებ, ამაზე წერილის ბოლოს ვისაუბრებ, ახლა კი მოკლედ შევაჯამებ და შევაფასებ გასულ ოთხწელიწადნახევარს — რა გზა გამოვიარეთ, სად ვართ და საით მივდივართ.

მინდა, მოსახლეობას ანგარიში ჩავაბარო, ვინაიდან 2011 წელს სწორედ საქართველოს მოსახლეობის წინაშე ავიღე პასუხისმგებლობა და, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო თანამდებობაზე არ ვარ, ამ პასუხისმგებლობას დღემდე ვგრძნობ. ვფიქრობ, უახლოესი წარსული ჯერ არავის დავიწყებია, თუმცა, დასაწყისში მაინც უნდა გავიხსენო, რამ გადამაწყვეტინა პოლიტიკაში მოსვლა.

### სად ვიყავით

რამდენიმე ნაწყვეტი 2011 წლის 7 ოქტომბერს გამოქვეყნებული ღია წერილიდან, რომლითაც მივმართე ხელისუფლებას, პოლიტიკურ პარტიებს, მასმედიას და საქართველოს მოქალაქეებს:

● „მიხეილ სააკაშვილის მიერ ხელისუფლების ტოტალურმა მონოპოლიზებამ და ჩატარებულმა კონსტიტუციურმა ცვლილებებმა ცხადი გახადა სააკაშვილის სურვილი, ყველანაირი კონსტიტუციური ვადის ამოწურვის მიუხედავად, შეინარჩუნოს ძალაუფლება და დარჩეს ხელისუფლების სათავეში.“

● „საგადასახადოს, პროკურატურის და სასამართლოს გამოყენებით ქართულ ბიზნესზე ისეთი გაუგონარი ძალადობა განხორციელდა, რომ საქართველოში, პრაქტიკულად, თავისუფალი ბიზნესი აღარ არსებობს.“

● „ნორმად იქცა დემონსტრაციების აგრესიული დარბევა, მონაწილეების დაუზოგავად, უმოწყალოდ ცემა და დევნა, ხოლო 26 მაისის აქციის დარბევის შემდეგ, არიან მოკლულები და დაკარგულები.“

● „საოცრად გამარტივდა ხალხის დაჭერა და ეგრეთ წოდებული საპროცესო გარიგებით ფულის გადახდის შემდეგ გამოშვების პროცესი. დაჭერების ამ მეთოდმა საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი უკიდურესად დააშინა და არნახული სიღარიბის ზღვართან მიიყვანა.“

● „დამთრგუნველია ყველა იმ სიცრუის მოსმენა, რაც საინფორმაციო საშუალებებიდან მოედინება. ყოველდღიური ტრაბახი და ტყუილების კორიანტელი სააკაშვილის მიღწევების შესახებ უაღრესად შეურაცხმყოფელია.“

● „სიცრუის მანქანა მთელი ძალით მუშაობს ადამიანთა ტვინების გამორეცხვაზე და მოდელირებული ვირტუალური ფსევდორეალობის რეალობად და სინამდვილედ წარმოსაჩენად. ძნელია, გაარჩიო, ვინ ტყუის და ვინ ამბობს სიმართლეს!“

● „სიცრუის ქსელში ჩართულმა ფსევდოოპოზიციურმა პოლიტიკოსებმა, პარტიებმა და საინფორმაციო საშუალებებმა ისეთი გარემო შექმნეს, რომ საზოგადოების პოლიტიკურად ყველაზე აქტიურ ნაწილსაც კი პოლიტიკის მიმართ უნდობლობა გაუჩინეს და საბოლოოდ დააკარგინეს არჩევნების გზით რაიმეს შეცვლის იმედი.“

● „ხელისუფლების ძალისხმევით ეგრეთწოდებულ ექსპერტთა, პოლიტოლოგთა, ანალიტიკოსთა, სოციოლოგთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მობილური ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომელიც ხელისუფლების მიერ დაწერილ სცენარს ახმოვანებს და უტიფრად ასაღებს შავს თეთრად და პირიქით.“

ქვეყნის ყველა გულშემატკივარი მოქალაქე დამეთანხმება, რომ ამ შეფასებებში არაფერი იყო გადაჭარბებული. პირიქით, მაშინ ბევრი რამ ჯერ კიდევ არ ვიცოდით. რეალური სურათი იმაზე ბევრად მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე წარმოგვედგინა! ერთ დიდ ციხედ გადაქცეული მთელი ქვეყანა, ასეულობით ათასი პატიმარი და პრობაციონერი იმას ნიშნავდა, რომ ლამის მთელი მოსახლეობა პატიმრების ჭირისუფლად იყო ქცეული და ციხის კარს შეჰყურებდა. ტოტალური მოსმენები, თვალთვალი, ფარული გადაღებები, დასმენა და შანტაჟი ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმებოდა. ხელისუფლება სრულად აკონტროლებდა მედიას და ისიც ამბობდა და აჩვენებდა მხოლოდ იმას, რასაც კარნახობდნენ.

ქვეყანას მძიმე ტვირთად აწვა ელიტური კორუფცია, ერთ პატარა ჯგუფს ყველაფრის უფლება ჰქონდა, დანარჩენს — არაფრის. ადამიანები დაშლილ ტელეფონებს მალავდნენ და საკუთარ ოჯახებშიც კი ჩურჩულით საუბრობდნენ. ვისაც ხელისუფლების მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას შეატყობდნენ, სამსახურებიდან აგდებდნენ, ქონებას ართმევდნენ, ცემდნენ, აპატიმრებდნენ, ციხეში სასტიკად აწამებდნენ და თუ საჭიროდ მიიჩნევდნენ, კლავდნენ კიდეც!

ორმაგი სტანდარტით მართავდნენ ქვეყანას — სინამდვილეში სულს ხდიდნენ ადამიანებს, სხვების დასანახად კი, დემოკრატიის შუქურად მოჰქონდათ თავი. ამ უსამართლობასა და განუკითხაობას აგვირგვინებდნენ დაქირავებული მეხოტბეები, რომლებიც ტაშის კვრით ხელისგულებს იტყავებდნენ და „მიშა, მიშას!“ გაჰყვიროდნენ.

ძალაუფლებით გათავხედებული სააკაშვილის კლანი განუსაზღვრელი ვადით გეგმავდა ხელისუფლებაში დარჩენას. ისინი ღიად ქადაგებდნენ ქართველი კაცის ძირისძირობამდე გარდაქმნისა და რაღაც „ახალი ადამიანის“ ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ, რაც სინამდვილეში ადამიანებისთვის ტვინების გამორეცხვას და ყველაფრის მკადრებელ ზომბებად გაწვრთნას ნიშნავდა. ისინი არავის ინდობდნენ, ვისი ავტორიტეტიც ამ მიზნის განხორციელებაში ხელს უშლიდა და ამიტომ ებრძოდნენ ასე თავგამოდებით პატრიარქსაც და მთლიანად ეკლესიას.

უიმედობის გაჩენას ყველაზე მეტად ის უწყობდა ხელს, რომ არჩევნები ტოტალურად ყალბდებოდა, ხელისუფლება არავითარ მორიდებას და პასუხისმგებლობას აღარ გრძნობდა მოსახლეობის წინაშე.

მმართველი კლანი დიდი რაოდენობით ნაძარცვ ფინანსებს იყენებდა ზოგიერთი პოლიტიკოსის თუ ლობისტური ჯგუფის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად თუ მათთვის მცდარი შეხედულების შესაქმნელად.

„სიცრუის მანქანამ“ ისე ჩაითრია საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგიერთი ადგილობრივი წარმომადგენელი, რომ მათი კონტროლი ცენტრალური ოფისებიდანაც კი უჭირდათ. ზოგჯერ, საქმე იქამდეც მიდიოდა, რომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ შეფასებებს, უცხოელების ნაცვლად, ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელები წერდნენ. სამწუხაროდ, ასეთი რეციდივები ახლაც შეიმჩნევა.

„ენდიაის“ და „აირაის“ ჩვენი ქვეყნისთვის ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი აქვთ განხორციელებული, რისთვისაც მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, თუმცა, დასამალი არ არის, რომ ბევრ ეჭვს ბადებს სოციოლოგიური გამოკითხვები, რომლებსაც ეს ორგანიზაციები ნაციონალურ მოძრაობასთან მჭიდრო კავშირში შემჩნეული ადგილობრივი სპეციალისტების მეშვეობით ატარებენ.

ყველას გვახსოვს, უახლოეს წარსულში ეს კვლევები როგორ მკვეთრად იყო აცდენილი რეალობას — 2012 წლის არჩევნებამდე ჩატარებული გამოკითხვების მონაცემებსა და არჩევნების შედეგებს შორის ძალიან დიდი სხვაობა დაფიქსირდა. ამგვარი კაზუსები მთლიანად კვლევით ორგანიზაციებში მომუშავე ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების სინდისზეა, რომლებიც ახერხებდნენ და თავიანთ სიცრუეს თავს ახვევდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც კი.

სააკაშვილის გუნდი განუწყვეტლივ საუბრობდა დასავლეთთან ინტეგრაციაზე, თუმცა, მათი მიზანი არასდროს ყოფილა ქვეყნის ევროპეიზაცია, რაც, უპირველესად, განვითარებულ დემოკრატიას და თავისუფალი ადამიანებისგან შემდგარ სამოქალაქო საზოგადოებას გულისხმობს.

სინამდვილეში, სააკაშვილის მართვის სტილი იყო სრულიად ანტიევროპული და ადამიანების დათრგუნვა-დამორჩილებას ისახავდა მიზნად. სწორედ ამ ფსევდოევროპელობამ და ფასადურმა დემოკრატიამ შეუწყო ხელი საზოგადოების ერთ ნაწილში ანტიდასავლური და ანტილიბერალური განწყობების გაღვივებას, რაც ძალიან სახიფათოა ჩვენი ქვეყნისთვის. ჩვენს გულგატეხილ თანამოქალაქეებს უნდა ავუხსნათ, რომ რასაც სააკაშვილი სჩადიოდა, იმას საერთო არაფერი აქვს არც დასავლეთთან, არც დემოკრატიასთან და არც ლიბერალიზმთან.

2011 წლის ბოლოს აღმოვჩნდით იმ ფაქტის წინაშე, რომ ხელისუფლებამ ძალადობის, ჭორების გავრცელების, მოსყიდვის და გადაბირების მეშვეობით დაქსაქსა და გაანეიტრალა ოპოზიცია, ხოლო ლიდერების გარეშე დარჩენილი ხალხი შეშინდა, დაიბნა, და სამზარეულოებში ჩურჩულზე გადავიდა — საპროტესტო ტალღა ჩაქრა; ნათელი გახდა, რომ საზოგადოებას მოჯადოებული წრის საკუთარი ძალებით გარღვევის რესურსი აღარ ჰქონდა დარჩენილი და მეც მძიმე არჩევანი დამიდგა: ან იმ რეალობას უნდა შევგუებოდი, რომ ჩემი სამშობლო, ჩემი ხალხი ათწლეულებით ამ კოშმარში დარჩებოდა, ხელი ჩამექნია, წავსულიყავი და თავი უცხოეთისთვის შემეფარებინა, ან უნდა დავრჩენილიყავი და მებრძოლა.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

# სალვთო ნიჭები

## სულიწმინდა აცისკროვნებს მათ, ვისაც სულიერი თვალები აქვს

სულიწმინდა არის ყოველგვარი სიკეთის წყარო. მისით გვეძლევა სხვადასხვა ნიჭი — ნიჭის გარეშე არავის ტოვებს უფალი. „როგორც მზე სხივებით ყოველივეს ნათელს ჰფენს, ასევე სულიწმინდა აცისკროვნებს მათ, ვისაც აქვს სულიერი თვალები. ისინი კი, რომლებიც ვერ ხედავენ ამ ნიჭებს, სულიწმინდას კი ნუ დაადანაშაულებენ, არამედ საკუთარ ურწმუნოებას დააბრალონ“, — გვმოძღვრავს წმინდა კირილე იერუსალიმელი.

რა არის სულიწმინდის ნიჭი, როგორ უნდა ამოიცნოს ადამიანმა თავის თავში ღვთისგან ბოძებული ტალანტი, შემდეგ როგორ განავითაროს, საით მიმართოს... ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, მამა ირაკლი კუთხაშვილი.



**— რა არის ზოგადად ნიჭი, რისთვის გვეძლევა იგი და რატომ არ ეძლევა ყველას ერთნაირად?**

— არსებობს „შვიდი ნიჭი სულისა წმიდისა“. ესენი გახლავთ: შიში ღვთისა, ღვთისმსახურება, ძლიერება, ზრახვა, მეცნიერება, გულისხმისყოფა, სიბრძნე. უფალმა ადამიანი თავისუფალ არსებად შექმნა და მასში ჩადო სიყვარული და ბევრი სხვა საუკეთესო თვისება, რომლითაც ადამიანი უნდა წარემართოს სულიერ ცხოვრებაში, საბოლოოდ განიღმრთოს და დაემსგავსოს უფალს. ნიჭი უფლის წყალობით ეგზავნება ადამიანს გადარჩენისათვის, უფალთან დასაახლოებლად. სხვადასხვა სახის ნიჭი არსებობს და უფალი მათ სხვადასხვა დოზით ანაწილებს. მთავარია, სწორად მიაგნო, აღმოაჩინო საკუთარ თავში, თუ რისი ნიჭი მოგეცა და შესაბამისად, კეთილად წარმართო იგი. სხვათა შორის, ნიჭის მიგნებაში მშობლებიც უნდა დაეხმარონ შვილებს. ზოგჯერ მშობელი ბავშვს თავს ახვევს მისთვის ხელსაყრელ ანდა სასურველ ინტერესებს, არ ითვალისწინებს შვილის პიროვნულ თავისებურებებს, ინტერესებს, მიდრეკილებებს და ამით თრგუნავს მის ნიჭს. თითოეულს თავისებური ნიჭი აქვს. ეს განსხვავებული ტალანტები მოგვენიჭება თითოეულს „მსგავსად ძალისა თვისისა“. მოციქულებმა მათზე სულიწმინდის გადმოსვლის დღეს მიიღეს განსაკუთრებული მადლიანი ნიჭი, რაც მათ სჭირდებოდათ თავიანთი დიდი მსახურების შესასრულებლად; იმათი მემკვიდრენი — ეკლესიის მოძღვარნი ხელდასხმის საიდუმლოთი იღებენ ასევე ღვთიური მადლის საბოძვარს — „უძლურთა მკურნალსა და ნაკლულევანთა აღმავსებელს“. ყოველი ქრისტიანი ეკლესიის საიდუმლოებებით იღებს უფლის მადლის წყალობას, რომელიც მკურნალობს მის სულიერ და ხორციელ უძლურებას. ამ მადლიანი საბოძვარის გარდა თითოეული ადამიანი ღვთისაგან იღებს ბუნებით წყალობას: სხვადასხვა საშუალებასა და ხერხს ღვთისა და მოყვასის სამსახურად. ყველა ეს ნიჭი იწოდება ტალანტებად. ღმერთმა იცის, ვის რამდენი სჭირდება, ვინ რამდენის გამოყენებას შეძლებს სასიკეთოდ და ამის შესაბამისად ანაწილებს წყალობასა და ნიჭს: ვის ხუთ ტალანტს აძლევს, ვის — ორს, ვის კი მხოლოდ ერთს. ღვთის მადლი არ ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას, არ აიძულებს და ამძიმებს მის ბუნებას. ღმერთს „ყოველთა კაცთა ჰნებავს ცხოვრება და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსვლა“ (1 ტიმ. 2,4). უფალი არავის ტოვებს უნიჭოდ. ყველას ურიგებს სიკეთის შეძლებას. მართალია, ზოგს ბევრს, ზოგს ცოტას, მაგრამ ბევრს ბევრი მოეკითხება, ცოტას კი ცოტა.

**— ე.ი. ნიჭი არის საშუალება ცხონებისა. რამდენად მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ვინც მეტი მიიღო ღვთისგან, მას მეტიც მოეთხოვება?**

— მარტო მიღება არ არის მთავარი, არამედ საქმის კეთება და შემატება ახარებს უფალს. წმინდა მამები იგავს ტალანტებზე ასე განმარტავენ: ღვთისგან ბოძებული მადლი შეიძლება იქცეს ჩვენს განსასჯელად, რადგან მადლის მიმცემი არის ყოვლის მხედველი და უკიდურესი მოწყალების შემდგომ სრულიად სამართლიანი მსაჯული. იგი არ უშვებს, რომ მისი მადლი უნაყოფოდ იქნეს გაბნეული, ართმევს გამოუსადეგარ მონას მოუფრთხილებელ და უსარგებლო წყალობას და ტოვებს წყვდიადსა და სატანჯველში. საგულისხმოა ისიც, რომ ერთგულ და სარწმუნო მონებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ ეს ნიჭი ანუ ტალანტი მათი არ არის, რომ მათ იგი მიეცათ არა დამსახურებისამებრ, არამედ ბატონის, ამ შემთხვევაში უფლის, მოწყალებით. ეს კაპიტალი — ტალანტი ბატონმა მათ ანდო და მათაც, ბატონისადმი მადლიერების გრძნობით აღვსილებმა, თავიანთი საქმე შეძლებისამებრ შეასრულეს. წარმატებასაც ისინი თავიანთ თავს კი არა, ბატონს მიაწერენ — შენ მომეცი და მეც შევძინე მას, — ეუბნებიან ბატონს. მე კი არა, ღვთის მადლმა გააკეთა ეს საქმე, — ამბობს პავლე მოციქული. ჩვენ ვართ არაფრად ღირებული მონები... ასე უყურებენ მართალნი თავიანთ საქმეებს.

ნიჭი უდიდესი პასუხისმგებლობაა. მაღალი მოვალეობა ის კი არ არის, ბევრი ტალანტი მოგეცა თუ ცოტა, არამედ ის, თუ რამდენად ერთგულად შეასრულე შენი ვალი. წმინდა ილია მართალი ამბობს: „უფალმა იმისათვის კი არ დაგვირიგა ნიჭი (გონება, გული, სიმდიდრე), რომ იმ ზარმაც მონასავით კიდობანში ან მიწაში დავმალოთ; იმისათვის, რომ ბევრი გაჭირვებულია ქვეყანაზედ.

გაგრძელება მე-5 გვ. -ზე

# საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი



დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

არ დავმალავ, რთული იყო გადაწყვეტილების მიღება, რადგან პოლიტიკური საქმიანობა არასდროს მაინტერესებდა და, ამასთან, არსებული რეჟიმის ხასიათიდან გამომდინარე, ეს ძალიან სახიფათო იქნებოდა, ჩემთვის და, რაც მთავარია, ჩემი ოჯახისთვის; თუმცა, საბოლოოდ, სწორედ ოჯახმა, ჩემმა უახლოესმა ადამიანებმა გადამაწყვეტინეს ქვეყანაში დარჩენა და ბრძოლის დაწყება. ჩემი მაშინდელი განწყობის გადმოსაცემად ისევ გავიხსენებ რამდენიმე ნაწყვეტს 2011 წლის წერილიდან:

● „ბევრი სვამს კითხვას და ბევრს უკვირს, მე, წარმატებულმა ბიზნესმენმა, ყოველმხრივ უზრუნველყოფილმა ადამიანმა, რატომ შევაგდე ყველაფერი სასწორზე და რატომ გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა? ამ კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია. იმიტომ, რომ ვხედავ, სამშობლო მეკარგება, ხოლო როდესაც სამშობლო გეკარგება, არაფერს არ აქვს ფასი, არც ქონებას, არც ფულს, არც პრივილეგირებულ მდგომარეობას."

● „შეცდომა იყო, საქართველოდან წასვლა რომ დავაპირე. წასვლა ერთია, მაგრამ მერე რა პირით უნდა დაბრუნდე უკან, როცა შენს ქვეყანას იმ დროს მიატოვებ, როცა ძალიან უჭირს. როცა დაბრუნდები, დაგხვდება კი აქ ქვეყანა?!"

● „ჩემმა უახლოესმა ადამიანებმა დამარწმუნეს, რომ ვცდებოდი, თუმცა, არც იმის უთქმელობა ივარგებს, რომ ჩემი ოჯახიც, სხვა ქართული ოჯახებივით, ორი წლის განმავლობაში ჩურჩულით ველაპარაკებოდით ერთმანეთს, მაგრამ ერთმანეთის იმედით და თანადგომით შიში ვძლიეთ."

აი, ასეთი ვითარება და განწყობა სუფევდა მაშინ ქვეყანაში და, რასაკვირველია, ჩემზე გაცილებით მძიმე მდგომარეობაში იყო ძალიან ბევრი ჩემი თანამოქალაქე. ვითარების ანალიზი მიჩვენებდა, რომ პირადი მონაწილეობის გარეშე საჭირო შედეგს ვერ მივიღებდით, ამიტომაც გადავწყვიტე, გარკვეული დროის განმავლობაში, თავად გამეწია კოორდინაცია პოლიტიკური პროცესებისთვის და სიტყვა მივეცი ჩემს თანამოქალაქეებს, რომ აუცილებლად დავამარცხებდით უსამართლობას.

აქვე მინდა გავიხსენო ის დაპირებები, რომლითაც ჩავები ბრძოლაში და, შემიძლია ვთქვა, რომ მათი დიდი ნაწილის შესრულება შევძელი.

2011 წელს მე ჩემს თანამოქალაქეებს დავპირდი, რომ:

● ჩემ მიერ შექმნილი ახალი პოლიტიკური პარტიისა და ჯანსაღი პოლიტიკური ძალების გაერთიანებით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს აბსოლუტური უმრავლესობით მოვიგებდით.

● პრემიერის ან პარლამენტის თავმჯდომარის რანგში მონაწილეობას მივიღებდი ახალი მთავრობის ჩამოყალიბებაში და ბოლომდე აღმოვფხვრიდით ელიტურ კორუფციას.

● დავიწყებდით დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნას და ამას შეუქცევად პროცესად ვაქცევდით.

● პერსპექტიულს გავხდიდით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენას.

● შევქმნიდით საინტერესო საინვესტიციო გარემოს და ერთი ჯგუფის მიერ მონოპოლიზებული ბიზნესის ნაცვლად, საფუძველს ჩავუყრიდით თავისუფალ ბიზნესსაქმიანობას.

● ბოლომდე მივიყვანდით სოფლის მეურნეობის აღორძინების პროექტს.

● საბოლოო სახეს მივცემდით მნიშვნელოვან პროექტს, რომელიც გულისხმობს ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაარსებას და მაღალტექნოლოგიური სამუშაო ადგილების შექმნას.

● დავიწყებდით რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას.

● გავაღრმავებდით აშშ-სა და ევროკავშირთან მეგობრობასა და ინტეგრაციას.

● ჩემი აზრით, ზემოჩამოთვლილი საკითხების გადაჭრას დაახლოებით ორისამი წელი დასჭირდებოდა, რის შემდეგაც მე ვაპირებდი პოლიტიკიდან წასვლას, რათა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიმეღო.

ეს იყო ძირითადი ნაწილი ჩემი დაპირებებისა, რომლებითაც მოვედი პოლიტიკაში და სწორედ მათი შესრულებით უნდა დაწყებულიყო იმ ნიადაგის მომზადება, რომელსაც დაეფუძნებოდა ქვეყნის შემდგომი განვითარება. კიდევ ერთი — ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო და დღესაც არის, საზოგადოებაში არსებული დაძაბულობის განელება და სახელმწიფოს წინაშე მდგარ სტრატეგიულ საკითხებთან დაკავშირებით ეროვნული თანხმობის მიღწევა.

მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ეს მოსაზრება კრიტიკის ქარ-ცეცხლს იწვევდა და იწვევს, მე ამ გზიდან არასოდეს გადამიხვევია და არც გადავუხვევ, ვინაიდან, სწორედ ეროვნული თანხმობა არის გზა ღირსეული მომავლისკენ. პირველივე დღეს განვაცხადე და სულ ვიმეორებ, რომ საქართველოს დასაკარგი და მოსაკვეთი არავინ ჰყავს, მთავარია, ადამიანი დროზე მიხვდეს ჩადენილ შეცდომებს, მოინანიოს და სიკეთისკენ გადადგას ნაბიჯი.

## სად ვართ

მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილმა ყველა აკრძალული ხერხი გამოიყენა, კალაპოტიდან მაინც ვერ ამოგვაგდო, ვერცერთ პროვოკაციაზე ვერ წამოგვაგო და წინასაარჩევნო პროცესი მთლიანად ჩვენი სცენარით წარიმართა. არჩევნების წინ თბილისში მანამდე უპრეცედენტო მასშტაბის აქცია გაიმართა, ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში და ყველაფრის მკადრებელ და ყველაფერზე წამსვლელ რეჟიმს ძალაუფლება უსისხლოდ დავათმობინეთ.

უპასუხისმგებლო და მოძალადე მთავრობის ნაცვლად ჩამოვაყალიბეთ მოსახლეობის მიმართ ანგარიშვალდებული მთავრობა, რომლის საქმიანობაც მაქსიმალურად გამჭვირვალეა. სრულად აღმოვფხვრით ელიტური კორუფცია. დღეს ყველაზე რადიკალური ოპონენტებიც კი ვერ უარყოფენ ამ ფაქტს და ვერ გვაბრალებენ კორუფციის მფარველობას.

ამ ოთხ წელიწადში ჩავატარეთ სამაგალითო — 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნები და ბოლო მოვუღეთ მოქალაქეებისთვის ხმების მოპარვის დანაშაულებრივ პრაქტიკას. დარწმუნებული ვარ, მომავალი საპარლამენტო არჩევნებიც ასევე ყველაზე მაღალი სტანდარტებით ჩატარდება. მიუხედავად კრიტიკული განწყობებისა, ხელისუფლებამ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება და სასამართლო სახელისუფლო წნეხისგან გაათავისუფლა. შეიძლება, არ მოგვწონდეს ზოგიერთი გადაწყვეტილება, ან ესა თუ ის მოსამართლე, მაგრამ, მთავარია, რომ დღეს სასამართლო დამოუკიდებელია. მოქალაქეებს საკუთარი სიმართლის დამტკიცებისთვის კანონიერი გზა და შესაძლებლობა გაუჩნდათ. აზრი მიეცა ადვოკატის საქმიანობას.

მოვახდინეთ პოლიციის დეპოლიტიზაცია და მას ველარავინ გამოიყენებს პოლიტიკურ ოპონენტებთან ანგარიშსწორებისთვის; გავაუქმეთ სოდი და კუდი, რომლებიც მოქალაქეების დაშანტაჟებით და ბიზნესების წართმევით იყვნენ დაკავებულები. სახელმწიფო უშიშროების სამსახური ჩამოვაშორეთ შსს-ს.

მედია სრულად გათავისუფლდა ხელისუფლების კონტროლისგან. თვალსაჩინო ფაქტია, რომ საქართველოში არასდროს ყოფილა ამდენი ტელევიზია, რამდენიც დღეს არის და, სხვათა შორის, ვერც იმას გაიხსენებს ვინმე, რომ მთავრობის მისამართით ასეთი დაუნდობელი კრიტიკა და ლანძღვა მოესმინოს; თანაც, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, მთავრობას საკუთარი ტელევიზია არ გააჩნია.

ბიზნესმა მოიშორა სახელისუფლო წნეხი. ყველაზე კრიტიკული მედიაც კი ვერ საუბრობს ბიზნესის შევიწროებაზე. ახალი მთავრობის პრიორიტეტი გახდა ისეთი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, რომლის შედეგიც ხელმისაწვდომი იქნება მოსახლეობის ყველა ფენისათვის.

ფაქტობრივად ყველას, ვისაც ამის სურვილი და საფერმერო მეურნეობის ჩამოყალიბების რეალური პროექტი აქვს, სახელმწიფო უზრუნველყოფს გრძელვადიანი უპროცენტო სესხებით. ამავე დროს, ეხმარება პირუტყვის შერჩევასა და შეძენაში, უფასო თესლის, ნერგის, საწვავისა და სასუქის მომარაგებაში. აღნიშნული პროგრამების ფარგლებში 26 ათასზე მეტმა ბიზნესპროექტმა ისარგებლა დაფინანსებით. ქვეყნის მელიორაციაში სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ინვესტიციების შედეგად 133%-ით გაიზარდა ირიგაციით უზრუნველყოფილი მიწების ფართობი. სოფლის მეურნეობის სფეროში საერთო ინვესტიციების მოცულობამ 1 მილიარდ ლარს გადააჭარბა.

წინა ხელისუფლების დროს სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ შეძლებული პაციენტებისთვის, ჩვენი მოქალაქეები ახლობლების გადასარჩენად იძულებულნი იყვნენ, სახლ-კარი გაეყიდათ და სესხები აეღოთ, ამის ნაცვლად ჩვენ შემოვიღეთ საყოველთაო დაზღვევა და ყველასთვის ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სისტემა. დღეს უფულობის გამო ადამიანი ბედის ანაბარად აღარაა მიტოვებული, აუცილებელი ოპერაციისა და მკურნალობის გარეშე არავინ რჩება. ხორციელდება მსოფლიოში უნიკალური პროგრამა და ცე ჰეპატიტისგან უფასოდ განიკურნება ათასობით ჩვენი თანამოქალაქე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჯანდაცვის სფეროში ჩვენი ძალისხმევის შედეგად უამრავი ადამიანი გადარჩა. ეს პროექტი არამარტო სოციალური თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი არამედ სწორედ ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერა მიიღო 1 მილიონ 600 ათასმა ადამიანმა.

## ვალების ეკონომიკიდან — ინვესტიციების ეკონომიკისკენ

ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს ქვეყნის გადაყვანა ვალების ეკონომიკიდან ინვესტიციების ეკონომიკაზე. 2013-2016 წლებში (2016 წლის პროგნოზის გათვალისწინებით), პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 62%-ით მეტია, ვიდრე — 2009-2012 წლებში. საქართველოს მთლიანი ვალი ყველაზე ნაკლებად 2013-2015 წლებში გაიზარდა. 2007-2009 წლებში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 5 მილიარდ 34 მილიონი დოლარით გაიზარდა, 2010-2012-ში 4 მილიარდ 453 მილიონით, ხოლო 2013-2015 წლებში მხოლოდ 1 მილიარდ 686 მილიონი დოლარით, ანუ წინა სამ წელთან შედარებით 2,5-ჯერ ნაკლებით. 2013 წელს დასრულდა პრაქტიკა, როცა ქვეყანა სავალუტო დეფიციტს მასშტაბური ვალის აღებით აბალანსებდა და პირიქით, ვალის აქტიურად დაფარვა დაიწყო.

2013 წლიდან საგარეო ვალის ზრდით მიღებული ეკონომიკური ზრდის იმიტაციის ნაცვლად ჩამოყალიბდა ინვესტიციებზე დამოკიდებული კონკურენტუნარიანი გარემო, ამის დასტურია, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კონკურენტუნარიანობის გლობალურ რეიტინგში 2006-2007 წლებში 87-ე ადგილზე ვიყავით, 2011-2012 წლებში 88-ე ადგილზე დავქვეითდით, ხოლო 2015-2016 წლებში 66-ე ადგილზე გადავინაცვლეთ და ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანას გადავუსწარით. ეს არის რეიტინგი, რომელიც ყველაზე კომპლექსურად ასახავს ქვეყნის ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას.

სავალუტო ფონდის მიმდინარე წლის აპრილში გამოაქვეყნებული კვლევის თანახმად საქართველოში 2016 წელს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი პირველად გადააჭარბებს 10 000-ს საერთაშორისო დოლარს (მშპ მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით), რაც 25%-ით აღემატება 2012 წლის დონეს.

იმავე კვლევის მიხედვით 2017-2021 წლებში საქართველოს ეკონომიკა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 46.4%-ით გაიზრდება და 2021 წელს 14 663 საერთაშორისო დოლარს მიაღწევს, ხოლო ზრდის ტემპი 11.9% გახდება. თუ ასეთი ზრდის ტემპს შევინარჩუნებთ, რაც სრულიად რეალურია, 2030 წლისთვის მშპ-ს მაჩვენებელი გაოთხმაგდება და 40 000 საერთაშორისო დოლარს გადააჭარბებს. ეს ციფრები ახლოს არის ევროპის წარმატებული ქვეყნების დღევანდელ მონაცემებთან და ჩვენი მოქალაქეებისთვის სტაბილური კეთილდღეობის გარანტიას წარმოადგენს.

მსოფლიო ბანკმა გასული წლის ოქტომბერში გამოაქვეყნა 17 ანალიტიკური ცენტრის შემაჯამებელი კვლევა, რომლის მიხედვით, ბოლო 18 წლის განმავლობაში საქართველოს ყველაზე მაღალი მაჩვენებლები 2014 წელს დაფიქსირდა. 200 ქვეყანას შორის, სადაც კვლევის მიხედვით მმართველობის 6 ჯამური ინდიკატორია მოცემული, საქართველოს პოზიციები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ეს ინდიკატორებია: მთავრობის ეფექტიანობა, კანონის უზენაესობა და კორუფციის კონტროლი, გამოხატვის უფლება და ანგარიშვალდებულება, რეგულაციების ხარისხი, პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის/ტერორიზმის არარსებობა.

დღეს მთავრობის ეფექტიანობის რეიტინგით საქართველო რეგიონში ლიდერია და, გარდა ამისა, მთელი რიგი მაჩვენებლებით უსწრებს ევროკავშირის წევრ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ესპანეთი, პოლონეთი, იტალია, საბერძნეთი, ლატვია, ლიტვა და სხვა.

ყოველგვარი პოლიტიკური დათმობების გარეშე შევძელით ქართული პროდუქციისთვის გაგვეხსნა რუსული ბაზარი და, ამავე დროს, 2015 წელს ქართული პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირში 2012 წელთან შედარებით გაორმაგდა.

2013-2015 წლებში წლებში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა კერძო სექტორში 55 000 ადამიანით გაიზარდა. მაშინ როდესაც 2006-2012 წლებში 23000-ით შემცირდა.

2013-2015 წლებში რეალური ხელფასი გაიზარდა 175 ლარით, 2010-2012 წლებში კი — მხოლოდ 78 ლარით; პენსიების რეალურმა ზრდამ (მსყიდველთუნარიანობის გათვალისწინებით) შეადგინა 24,1%;

2013-2015 წლებში საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა წმინდა შემოსავალმა 4 მილიარდ 520 მილიონ დოლარს მიაღწია, რაც ორჯერ აღემატება 2010-2012 წლების ანალოგიურ მაჩვენებელს. ზრდა შთამბეჭდავია მიმდინარე წელსაც. იანვარ-აპრილში ჩვენი შეფასებით ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი, დაახლოებით, 17%-ით გაიზარდა და შეადგინა 505 მლნ აშშ დოლარი.

2013-2015 წლებში 2010-2012 წლებთან შედარებით მშენებლობის მოცულობა მთელი საქართველოს მასშტაბით გაიზარდა 56%-ით, მათ შორის, თბილისში 63%-ით, ხოლო აჭარაში — 76%-ით (გაცემული ნებართვების მიხედვით).

მნიშვნელოვნად გაიზარდა ენერგეტიკული პროექტების მოცულობა:

● 2013-2015 წლებში ენერგეტიკაში 2 მილიარდ 506 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. უკვე შევიდა ექსპლუატაციაში 523 მილიონი დოლარის ღირებულების 14 ჰიდრო და 1 თბოელექტროსადგური.

● უახლოეს მომავალში ექსპლუატაციაში შევა კიდევ ექვსი ჰიდროელექტროსადგური, მათ შორის — 416 მილიონი დოლარის ღირებულების „შუახევჰესი". დაიწყო „ნენსკარაჰესის" მშენებლობა, რომლის საინვესტიციო ღირებულებაც 1 მილიარდი დოლარია.

● გაფორმდა მემორანდუმები 104 განახლებადი ენერგიის პროექტის განხორციელების შესახებ, რომელთა საერთო ჯამური დადგმული სიმძლავრე 2800 მეგავატს აღემატება, ხოლო საინვესტიციო ღირებულება 6 მილიარდი დოლარია.

საგრძნობლად იმატა ინფრასტრუქტურული მშენებლობის ტემპმა. მაგალითად, წელიწადში საშუალოდ 2,5-ჯერ მეტი ავტობანი შენდება, ვიდრე — წინა ხელისუფლების დროს.

აღნიშნული პოზიტიური ტენდენციები განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ ფონზე, როცა რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი მოხდა, რაც, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო საქართველოსათვისაც. მოვლენების ამგვარი განვითარების გარეშე, რასაკვირველია, უფრო მეტის მიღწევა შეიძლებოდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2004-2012 წლებში საქართველო ეკონომიკური ზრდის ტემპით ლიდერი არ ყოფილა. სომხეთს, ბელორუსს, აზერბაიჯანს ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ. 2013-2015 წლებში კი, საქართველოს, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი აქვს.

დასკვნით ფაზაში შევიდა ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაარსების პროექტი. რამდენიმე დღის წინ საქართველოში ჩამოვიდნენ მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები, რომლებიც დაესწრნენ მაღალი ტექნოლოგიების სამეცნიერო ცენტრის მშენებლობის დაწყებას, ხოლო სექტემბერში ქუთაისში საუნივერსიტეტო კომპლექსის მშენებლობას შევუდგებით.

განსაკუთრებული ზრუნვის საგნად რჩებიან ადამიანები, რომლებიც რუსეთის აგრესიისა და საპასუხო გაუაზრებელი პოლიტიკის შედეგად საკუთარ სამშობლოში დევნილებად იქცნენ. მთავრობამ დაიწყო დევნილთათვის ბინების აშენება, სახლების შეძენა და ფართების დაკანონება.

მოქალაქეები ეჩვევიან პოლიტიკურ თავისუფლებებს, მათ აღარ ეშინიათ საკუთარი კრიტიკული აზრის თუ უკმაყოფილების გამოხატვისა. ადამიანები შრომითი უფლებების დაცვის მოთხოვნით გაფიცვებსაც კი აწყობენ, რაც, დამეთანხმებით, ადრე წარმოუდგენელი იყო.

მთავრობამ რეალური ნაბიჯები გადადგა ევროპასთან ინტეგრაციის მიმართულებით — გაფორმდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რითაც ქართველ მეწარმეებს ევროპის ხუთასმილიონიან ბაზარზე გასვლის შესაძლებლობა მიეცათ. გაიხსნა საქრთველოში პირველი ნატო-საქართველოს ერთობლივი სასწავლო ცენტრი. მიღებულია პოლიტიკური გადაწყვეტილება და ჩვენი მოქალაქეები ძალიან მალე ევროპაში უვიზოდ მიმოსვლას შეძლებენ.

დღეს გაცილებით მყარი და სტრატეგიულ ინტერესებზე დაფუძნებული ურთიერთობები გვაქვს პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ყველა რეიტინგით და მაჩვენებლით მნიშვნელოვან პროგრესს მივაღწიეთ და არ არსებობს სფერო, რომელშიც ბევრად უკეთესი მდგომარეობა არ გვქონდეს, ვიდრე ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას იყო.

მოკლე დროში მოვახერხეთ და ავტორიტარული ქვეყანა დემოკრატიის რელსებზე გადავიყვანეთ; შევქმენით საფუძველი, რომელსაც წარმატების მომტანი შემდგომი რეფორმები უნდა დაეფუძნოს.

ჩვენ მუდმივად ვეძებთ, რა შეიძლება გაკეთდეს ისეთი, რაც წაახალისებს ეკონომიკას და მთავრობის მუშაობას უფრო ეფექტიანს გახდის. ამ მიზნით უკვე ჩავატარეთ შვიდი ეკონომიკური ფორუმი, სადაც მოწვეულები იყვნენ ჩვენს პოლიტიკურ ოპონენტებთან ასოცირებული ექსპერტებიც, თუმცა, მათგანაც ვერ მოვისმინეთ რაიმე შემოთავაზება, რეალურად კიდევ რისი გაკეთება შეეძლო მთავრობას და არ გააკეთა.

ნებისმიერი მთავრობის მუშაობა ფასდება რეალური შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენებით. ამ კრიტერიუმით საქართველოს მთავრობამ მაქსიმალურ შედეგს მიაღწია. ცხადია, 3-4 წელიწადში ის ვერ შეძლებდა იმის გაკეთებას, რასაც თხუთმეტი წელი სჭირდება, მაგრამ ნამდვილად მყარი საფუძველი მოამზადა მდგრადი განვითარებისთვის. ეს არ არის მხოლოდ ჩვენი შეფასება, ასე აფასებენ საქართველოს მთავრობას ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციები.

## საით მივდივართ

საქართველო უმნიშვნელოვანესი გამოწვევის წინაშე დგას — ჩვენ თავიდან ვსწავლობთ დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრებას, ვეჩვევით დემოკრატიას და საბაზრო ეკონომიკას, ზოგადად თავისუფლებას.

ძალიან დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია მომავლის წინაშე და დღეს, ისე როგორც არასდროს, გვჭირდება სიფრთხილე, რათა არ დავუშვათ შეცდომა, რომელიც იმ ტირანიაში დაგვაბრუნებს, დიდი გაჭირვებით რომ დავაღწიეთ თავი. ამიტომ ვალდებულნი ვართ, ვუპასუხოთ დროის მოთხოვნებს, მართებულად შევაფასოთ მოვლენები და მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილებები, რათა წყალში არ ჩაგვეყაროს ის მიღწევები, რაც ამჟამად გვაქვს და რაც სამომავლოდ უკეთეს პერსპექტივას გვპირდება.

მართებული კი მხოლოდ ის გადაწყვეტილებაა, რომელიც გვაახლოებს ჩვენი ქვეყნის უმთავრეს სტრატეგიულ მიზანს — თავისუფლებას, უსაფრთხოებას, თვითმყოფადობას, კეთილდღეობას და მსოფლიო პროგრესის პროცესში ჩართულობას!

დროის და ცხოვრების მკაცრი მოთხოვნებიდან გამომდინარე ჩვენ ჩამორჩენის უფლება არ გვაქვს. სწორედ ეს ამოცანა უდგათ ჩვენს მოქალაქეებს, რომლებიც, მიუხედავად ათასი პრობლემისა, გულს არ იტეხენ და შრომობენ საკუთარი ოჯახების, მომავლის და ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამაში სჭირდებათ მათ ხელშეწყობა და დახმარება.

ყველა ვხედავთ, როგორი დაძაბულობაა დღეს მთელ მსოფლიოში და მათ შორის, ჩვენს გარშემო — უახლოეს და არც თუ შორეულ სამეზობლოში. ულმობელი ტერაქტები, დაუსრულებელი საბრძოლო მოქმედებები, ეკონომიკური კრიზისი, რელიგიური კონფლიქტები და ცივილიზაციათა დაპირისპირება, ის სახიფათო აისბერგებია, რომლებიც ჩვენს შორიახლო დაცურავენ და კატასტროფებით გვემუქრებიან. ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა სწორედ ის არის, რომ ამ აისბერგებს შორის ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოდ გატარება შევძელით და მშვიდობა და სტაბილურობა შევინარჩუნეთ.

რამდენად მივაღწევთ მიზანს, დამოკიდებულია ორ ფაქტორზე — როგორი ტიპის სახელმწიფოს ავაშენებთ და რა საგარეო ორიენტირები ექნება ჩვენს ქვეყანას.

## როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ

ყველა ერს აქვს რაღაც განსაკუთრებული თვისება, გამორჩეული შესაძლებლობა, რისი მეოხებითაც იგი წარმატებას აღწევს. ეს შეიძლება იყოს — ხელსაყრელი ადგილმდებარეობა, ბუნებრივი წიაღისეული, ადამიანური რესურსი, შრომისმოყვარეობა, ტექნოლოგიური მიღწევები და ა.შ. საქართველოსთვის ასეთ საყრდენ ფენომენად მესახება მრავალსაუკუნოვანი უწყვეტი კულტურა და ევროპისა და აზიის გზაშესაყარზე დიდ იმპერიებს შორის ცხოვრების უნიკალური გამოცდილება, რომლის წყალობითაც თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და პროგრესისკენ სწრაფვის უნარ-ჩვევები ლამის გენეტიკურ კოდში გვაქვს ჩაწერილი.

ალბათ ბევრს ახსოვს სკოლაში ნასწავლი საზეპირო მერვე საუკუნეში დაწერილი აბო თბილელის ცხოვრებიდან, რომელიც ქართველებმა წმინდანად და თბილისის მფარველად შერაცხეს — ბევრი გაჭირვება გვადგას ქართველებს, ვირხევით როგორც ლერწამი ძლიერ ქარში, მაგრამ ცხოვრების წესს მაინც არ ვიცვლით და ვაგრძელებთ „ჩვეულებისაებრ მამულისა სვლასო".

ქარი გვარხევს, მაგრამ, ურთულეს რეგიონში ცხოვრებით შეძენილი გამჭრიახობის წყალობით, ვერც გვტეხს და ვერც ადგილიდან გვძრავს. კომპრომისის ძიება, როცა საჭიროა — დათმობა, როცა საჭიროა — მტკიცედ დგომა, ჩვენი ცხოვრების

გაგრძელება მე-3 გვ. -ზე

დასაწყისი მე-2 გვ.-ზე

წესად და გეოპოლიტიკურ ლაბირინთებში საიმედო გზამკვლევად იქცა.

ამის თვალსაჩინო გამოხატულებაა თბილისის ისტორიულ ცენტრში გვერდიგვერდ მდგარი ტაძრები, რომლებიც ოთხ დიდ რელიგიას — ქრისტიანობას, ისლამს, იუდაიზმს და ზოროასტრიზმს განასახიერებენ და ერთმანეთს კი არ უპირისპირდებიან, არამედ ქვეყანას აძლიერებენ.

საქართველოში გვაქვს სკოლები, რომლებშიც ქრისტიანი და მუსლიმი ბავშვები ერთად სწავლობენ, გვერდიგვერდ ლოცულობენ და განსხვავებული სარწმუნოება უფრო საინტერესოს ხდის მათ ურთიერთობას.

სამაგალითოა ქართველების და ებრაელების ოცდაექვსსაუკუნოვანი ძმობა და თანაარსებობა და ამაზე მხოლოდ ჩვენ არ ვლაპარაკობთ. საყოველთაოდ ცნობილია ერთი ძალიან ნიშანდობლივი ამბავი — 1913 წელს მაინის ფრაკფურტში მიმდინარე ებრაელთა მსოფლიო კონგრესზე, გამოდიოდნენ წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნებიდან და აღნიშნავდნენ, რომ მაშინდელ მსოფლიოში არ არსებობდა ქვეყანა, სადაც ანტისემიტიზმი არ მძლავრობდა, რის პასუხადაც საქართველოდან წარგზავნილმა რაბინმა დავით ბააზოვმა, ძალიან დიდმა პიროვნებამ და საზოგადო მოღვაწემ, განაცხადა: მეგობრებო, ასეთი ქვეყანა არსებობს, პატარა ქრისტიანული საქართველო. ქართველებს შორის ვცხოვრობთ ებრაელები უკვე 2500 წელია და არასდროს განგვიცდია დამცირება ან ჩვენი უფლებების დარღვევა. საქართველოში არასდოს ყოფილა გეტოები, „პოგრომები“ ან დისკრიმინაცია და ქართულ ენაში „პოგრომის“ შესატყვისი სიტყვაც კი არ არსებობსო. ფეხზე ამდგარი დარბაზი ტაშით მიესალმა ამ ფაქტს.

ჩვენი ხასიათისთვის სრულიად უცხოა და მიუღებელი სხვისი სიწმინდეების შეურაცხყოფა, რელიგიური შეუწყნარებლობა და ადამიანის ეთნიკური ნიშნით დამცირება. ამ მხრივ საქართველო არის სხვადასხვა ეთნოსის თუ რელიგიური ჯგუფის მეგობრულად და კეთილგანწყობით თანაარსებობის მისაბაძი მოდელი.

კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ მცდელობები, თავს მოგვახვიონ პოლიტიკური თუ რელიგიური რადიკალიზმი, აგრესია განსხვავებული აზრისა თუ ცხოვრების წესის გამო, განადგურებით ემუქრება ჩვენი არსებობის საფუძვლებს. ამიტომ ნებისმიერი ასეთი გამოვლინების მიმართ განსაკუთრებული სიფხიზლე და შეურიგებლობა გვმართებს. სწორედ გულწრფელი ტოლერანტობა წარმოადგენს დღევანდელ მსოფლიოში არსებული ბევრი მწვავე პრობლემის გასაღებს და იმ ოქროს საწმისს, რითაც ჩვენ საინტერესოები გამოვჩნდებით მსოფლიოსთვის.

ამ ოთხი წლის განმავლობაში სწორედ ამ მიმართულებით ვითარდებოდა ქვეყანა — შევძელით, გვერდი აგვევლო გეოპოლიტიკური საფრთხეებისთვის, გავაღრმავეთ ურთიერთობა მეგობრებთან და სტრატეგიულ პარტნიორებთან და ამ დაბალანსებული და მშვიდი პოლიტიკის შედეგია, რომ მიუხედავად რეგიონში არსებული მწვავე კრიზისისა, საქართველოში იზრდება ტურიზმიც და მთლიანად ეკონომიკაც.

როდესაც ქართულ ფენომენზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა შევეხოთ ვაზის კულტურას, რაც ასევე ჩვენი ცხოვრების წესის და ჩვენი მსოფლმხედველობის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანთაგანია. შემთხვევით არ არის, რომ საქართველოში სწორედ ვაზის ჯვრით შემოვიდა ქრისტიანობა, რაც ჩვენი იდენტობის უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელია.

ნახევრად ხუმრობით ვიტყვი, თუმცა, შეიძლება, ეს არც ისე შორს იყოს სიმართლისგან — სადაც კი ადამიანმა ნავი გათალა, მაშინვე სხვა ქვეყნებს მიაშურა. ნავმა მხოლოდ ქართველი მიაჯაჭვა საკუთარ მიწა-წყალს, რადგან ჩვენი წინაპრისთვის ნავი საწნახელი იყო, რაშიც ღვინოს წურავდა და სხვაგან წასვლას, შინ სტუმრის ლოდინს ამჯობინებდა. ჩვენ მსოფლიო გვიცნობს როგორც ოქროს საწმისის მხარეს და როგორც ღვინის სამშობლოს; ღვინო ქართული სიტყვაა, რომელიც მსოფლიოში გავრცელდა. ქართული ხასიათი და ქართველი ადამიანის ცხოვრებისადმი დამოკიდებულება ღვინის კულტურამ ჩამოაყალიბა.

ვაზს უკავშირდება ქართული სუფრის უნიკალური ფენომენი, რომელიც ზუსტად გამოხატავს ქართველი კაცის დამოკიდებულებას ცხოვრების რაობის მიმართ, სადაც სიცოცხლის აზრად დასახულია თვით სიცოცხლისვე სიყვარული და მისი ყველაზე დიდი გამოვლინება — სხვა ადამიანისთვის ბედნიერების მინიჭების სურვილი, მრავალხმიანი სიმღერა, ცეკვა, ლექსი, რაც საკუთარ თავს გვამსგავსებს, რაშიც ყველაზე მეტად ვლინდება ჩვენი მეობა და კულტურის თვითმყოფადობა და რაც უდავოდ კაცობრიობის შენაძენია.

ღვინის კულტურა და ქართული სუფრის ფილოსოფია თავისი არსით და სულისკვეთებით ადამიანთა ტოლერანტობას ეფუძნება. სწორედ ამიტომაც, ქართველებისთვის ტოლერანტობა საუკუნეების განმავლობაში შეთვისებულ ცხოვრების და აზროვნების წესს, ძვალსა და რბილში გამჯდარ მსოფლმხედველობას წარმოადგენს და დღეს იმ ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილად გვხდის, რომელშიც ყველაზე დიდ ღირებულებად პიროვნების ღირსება და თავისუფლება მიაჩნიათ. პიროვნების პატივისცემაზე დაფუძნებული ევროპული ღირებულებები იგივე ვაჟაფშაველას ღირებულებებია და სრულად შეესაბამება ჩვენს მენტალიტეტს.

ნამდვილად შეგვიძლია, რომ ევროპისა და აზიის გზაშესაყარზე მდებარე საქართველო ძალიან მალე გადავაქციოთ კულტურათა და ცივილიზაციათა თავშეყრის და მშვიდობიანი თანაარსებობის ადგილად, რომლის მოდელიც არის ძველი თბილისი და რისი გამოცდილებაც ათეულობით საუკუნის განმავლობაში გამოვიმუშავეთ.

დღეს ჩვენი ეკონომიკა ექვსჯერ ჩამორჩება საშუალოევროპულს და ამით გამოწვეული პრობლემების გამო ხშირად მიჩქმალულია და მტვერდადებულია საუკუნეების წრთობით ჩამოყალიბებული ქართული ხასიათის მთავარი საზრისი, გაიხაროს სხვისთვის ბედნიერების მინიჭებით. ეჭვი არ მეპარება, რომ სულ რაღაც 10-15 წელიწადში ჩვენი ეკონომიკა ევროპულის მსგავსი იქნება. სწორედ ამას ვგულისხმობ, როდესაც ორიენტირად 2030 წელი ავიღე და საზოგადოება „2030“ დავაფუძნე, რადგან ჩვენი და საერთაშორისო ორგანიზაციების გათვლებით საქართველოს ეკონომიკა 2030 წლისთვის საბოლოოდ გაიმართება წელში და განვითარებული ქვეყნების რიგში ჩავდგებით. ეკონომიკური გათვლების გარდა, ამის იმედს მაძლევს ჩვენი ხალხის ნიჭიერება, შრომისმოყვარეობა, სწრაფვა სიახლის შეცნობისკენ და, რასაკვირველია, ჩვენი ახალგაზრდების გონიერება, დიდი შემართება, თვითორგანიზების უნარი და საკუთარი ქვეყნის სიყვარული, რაც, თუნდაც, თბილისში დატრიალებული სტიქიური უბედურების დროსაც გამომჟღავნდა.

როცა ამას მოვახერხებთ და სიდუხჭირეს თავს დავაღწევთ, მაშინ ქართულ ფენომენსაც ოქროს ხანა დაუდგება და ყველასთვის მიმზიდველი გახდება ჩვენი ლამაზი და ნიჭიერი ადამიანებით დასახლებული ქვეყანა.

აქვე უნდა ვთქვათ ისიც, რომ ქვეყნის გამთლიანების პერსპექტივა რეალური გახდება მხოლოდ და მხოლოდ მაღალ ღირებულებებზე დაფუძნებულ და ძლიერი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოში, რომელიც მიმზიდველი და საინტერესო უპირველესად ჩვენი აფხაზი და ოსი ძმებისათვის უნდა იყოს.

ჩვენი სტრატეგიული კაპიტალია გეოპოლიტიკური მდებარეობა და კულტურათა მშვიდობიანად შეხვედრისა და ჰარმონიული თანაარსებობის გამოცდილება. ავტორიტარიზმში დაბრუნება ჩვენთვის მხოლოდ პოლიტიკური კი არა, კულტურული და მენტალური ტრაგედიაც იქნება, ვინაიდან ავტორიტარიზმი ძალადობას ეფუძნება, მისთვის მიუღებელია პოლიტიკური, რელიგიური და საზოგადოებრივი მრავალფეროვნება და ნულოვან ტოლერანტიზმს ამკვიდრებს.

ნულოვან ტოლერანტობასა და ავტორიტარიზმში დაბრუნება გამოიწვევს იმას, რომ ჩვენი ქვეყანა კულტურათა მშვიდობიანი გზაშესაყარის ნაცვლად, ცივილიზაციათა გზაგასაყარად და ინტერესთა შეჯახების პოლიგონად გადაიქცევა, რაც დაგვანგრევს და განვითარების ყოველგვარ პერსპექტივას მოგვისპობს.

საქართველოს განვითარების და კეთილდღეობის ერთადერთი საფუძველი თავისუფლება, დემოკრატია და ტოლერანტობაა და ჩვენი ყველა გადაწყვეტილება ამ აქსიომას უნდა ეფუძნებოდეს!

## ქვეყნის საგარეო კურსი და ორიენტირები

ვინაიდან ჩვენი კეთილდღეობა მხოლოდ დემოკრატიას და თავისუფალ გარემოს უკავშირდება, ცხადია ისიც, რომ ევროკავშირთან და ევროატლანტიკურ სივრცესთან ინტეგრაცია, ნატოს წევრობა, საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული პრიორიტეტია და ამ მიმართულებით ჩვენთვის კითხვები არ არსებობს.

ჩვენი სახელმწიფოს საგარეო კურსი წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეთა თავისუფალ არჩევანს, რომელიც ემყარება ისტორიულ და ფასეულობრივ კავშირს დასავლურ სამყაროსთან და ეს არაერთხელ იქნა დადასტურებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებით და, მათ შორის, პლებისციტითაც.

შესაბამისად, საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს სწორედ ამ არჩევნის განხორციელებისთვის — ატარებს რეფორმებს, რათა კიდევ უფრო დავუახლოვდეთ ევროპას და საქართველო რეალურად გახდეს ევროპული ეკონომიკის და ევროპული მოწყობის ქვეყანა.

დღეს საქართველო რეგიონში ლიდერი ქვეყანაა დემოკრატიის განვითარებისა და ევროკავშირთან დაახლოების მიმართულებით. საქართველოს ბიზნესგარემო საუკეთესოა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის მოთხოვნებსაც ყველაზე უკეთ ჩვენ ვაკმაყოფილებთ.

საგარეო ორიენტირებზე საუბრისას საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთობებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან, რომელიც არის საქართველოს დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანესი გარანტი და მხარდამჭერი. ძნელბედობის ჟამს სწორედ ამერიკამ გაუწია ჩვენს ქვეყანას ყველაზე დიდი ფინანსური, სამხედრო-პოლიტიკური და მორალური მხარდაჭერა.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობა ძალიან მაღალ ხარისხში ავიდა და, ყველამ კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ მომავალში საქართველოს უსაფრთხოება და პოლიტიკურ-ეკონომიკური წარმატებები მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სწორედ ჩვენს მთავარ პარტნიორთან ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებასა და მჭიდრო თანამშრომლობაზე.

კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ევროკავშირში საქართველოს მიღების საკითხი უახლოეს დღის წესრიგში არ დგას. ასევე გარკვეული ლოდინი დაგვჭირდება, ვიდრე ნატოს წევრები გავხდებით, რადგან ეს რთული გეოპოლიტიკური პროცესის ნაწილია და მხოლოდ ჩვენს სურვილსა და მზადყოფნაზე არ არის დამოკიდებული, თუმცა, ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქცეს სპეკულირების და, მით უმეტეს, იმედგაცრუების საბაბად.

საქართველოს საგარეო კურსი და ორიენტირი ერთმნიშვნელოვნად არის ევროატლანტიკური მიმართულება! ჩვენ მოთმინებით დაველოდებით ხელსაყრელ დროს, მზად ვიქნებით და ევროატლანტიკური სტრუქტურებში შევალთ მაშინვე, როგორც კი ჩვენი მეგობრები და პარტნიორები კარის გაღებას შეძლებენ.

დასავლური კურსი არ ნიშნავს, რომ პატივსცემით არ მოვექცევით მეზობლებს და არ გავითვალისწინებთ მათ ინტერესებს, პირიქით, ჩვენი სტრატეგია გულისხმობს მეგობრული ურთიერთობების დამყარებას ყველა მეზობელ და არამეზობელ ქვეყანასთან.

ყველაფერს გავაკეთებთ, რათა საქართველოს ინტერესების შეულახავად შევძლოთ ურთიერთობების ნორმალიზება რუსეთთან, გავაღრმავებთ კავშირებს მნიშვნელოვან პარტნიორებთან და მეგობრებთან — თურქეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან; საინტერესო თანამშრომლობას ვიწყებთ ირანთან; საქართველო აქტიურად მონაწილეობს უზარმაზარი ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალის მქონე აბრეშუმის გზის პროექტში. რამდენიმე დღის წინ გაფორმდა კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც გერმანიის რკინიგზა, საქართველოს გავლით, ჩინეთს დაუკავშირდება. ამით კიდევ უფრო გამოიკვეთება ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ფუნქცია, იყოს სატრანსპორტო დერეფანი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

## წარსულში დაბრუნების საფრთხე

შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ საქართველოში პოლიტიკურ პრობლემებს მნიშვნელოვანწილად ქმნის ის, რომ, ერთი მხრივ, გვაქვს მაღალი ხარისხის დემოკრატია და, მეორე მხრივ, მას მნიშვნელოვნად ჩამორჩება ეკონომიკის განვითარება. ასეთი განსხვავება დემოკრატიისა და ეკონომიკის დონეებს შორის იშვიათია და ძნელად თუ სადმე მოიძებნება. როგორც წესი, დემოკრატიის ხარისხი შეესაბამება ეკონომიკის განვითარებას. დღეს არსებული ეკონომიკური მდგომარეობა ავტორიტარიზმში დაბრუნების ნიადაგს ქმნის, ხოლო ქვეყნის მომავალი დემოკრატიის განუხრელად განვითარებას მოითხოვს. რასაკვირველია, ჩვენ მომავლის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ.

სააკაშვილის ხელისუფლების იდეოლოგები ღიად ასაბუთებდნენ, რომ საქართველოს ეკონომიკის სწრაფი წინსვლისა და მოდერნიზაციისთვის აუცილებლად სჭირდებოდა ავტორიტარული რეჟიმი და რკინის ხელი — პოლიტიკურად ჩამორჩენილი ხალხი პატარა ჯგუფს უნდა ემართა. ამაში არწმუნებდნენ უცხოელებსაც და ამ შთაბეჭდილების შესაქმნელად დადგმულ სპექტაკლებს და უხეშ პროვაკაციებსაც არ ერიდებოდნენ. თუმცა, ვითომდა ქვეყნის საკეთილდღეოდ გამიზნული ამგვარი ქმედებები საბოლოოდ დასრულდა ერთი ჯგუფის მიერ ძალაუფლების უზურპირებით და ელიტური კორუფციით.

აუცილებელია, მთელმა საზოგადოებამ გავაცნობიეროთ ის ხიფათი, რომელიც დემოკრატიისა და ეკონომიკის დონეებს შორის სხვაობას ახლავს. ავტორიტარიზმის პირობებში ხელისუფლება მართავს საზოგადოებრივ აზრს — ერთი მხრივ, ხელოვნურად ნერგავს ოპტიმიზს და ცხოვრებას საამურად წარმოაჩენს, ამასთან ერთად კი ძალადობით ახშობს უკმაყოფილების გამოვლინებებს. დემოკრატიის პირობებში კი ეკონომიკური სიდუხჭირით გამოწვეული განწყობების გამომზეურებას ხელს არაფერი უშლის.

სწორედ აქ უნდა მოვუხმოთ გონიერებას და კარგად გავიაზროთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ გვაქვს უკან, ტირანიისკენ მიბრუნების უფლება. უნდა შევინარჩუნოთ დემოკრატიის მაღალი ხარისხი და მას დავაწიოთ ეკონომიკა. მხოლოდ ეს მოგვიტანს მშვიდობას და კეთილდღეობას!

დღეს ნამდვილად გვაქვს თავისუფალი არჩევანის საშუალება, ვერც დაგვაშინებს ვინმე და ვერც ხმებს მოგვპარავენ, თუმცა, ეს საკმარისი არ არის, რადგან სწორი არჩევანი მხოლოდ ინფორმირებულ ამომრჩეველს შეუძლია, ამ მიმართულებით კი სერიოზული პრობლემებია.

ქვეყანაში ფიზიკური ძალადობა დასრულდა, მაგრამ გრძელდება პროპაგანდით და სიცრუით ძალადობა, რაც, შეიძლება, გაცილებით მეტადაც კი აზიანებდეს საზოგადოებას.

პოლიტიკური ძალა, რომელიც ცოტა ხნის წინ ტერორით მართავდა ქვეყანას, ადამიანის უფლებებს აბუჩად იგდებდა და თავისუფალ სიტყვას დევნიდა, დღეს სრულად სარგებლობს ქვეყანაში არსებული თავისუფალი გარემოთი, ძველებურად ამუშავებს სიცრუის მანქანას, აფრქვევს ცილისწამების კორიანტელს და მის დღის წესრიგს ხშირად დანარჩენი მედიაც მიჰყვება, რადგან, მთავრობის ლანძღვა მოდაშია და კარგ ტონად ითვლება.

მოქალაქეებს მიზანმიმართულად და განუწყვეტლივ მიეწოდებათ ქვეყანაში არსებული ვითარების განზრახ დამახინჯებული სურათი, რაც ბევრში გულგატეხილობისა და სასოწარკვეთის განცდას იწვევს. ეს ყველაფერი რევანშის მიზნით კეთდება, რათა სააკაშვილის კლანმა ქვეყანა ისევ დააბრუნოს ძალმომრეობის ჭაობში, რომელსაც ძლივს დავაღწიეთ თავი.

მედიამ ხელისუფლება უნდა აკრიტიკოს და, რასაკვირველია, მეც ამის მომხრე ვარ, მაგრამ არა იმ პოლიტიკური ჯგუფის პოზიციიდან და ინტერესებიდან, რომელმაც ამდენი ტანჯვა მოუტანა საკუთარ ხალხს და რომელსაც დღეს რევანში სწადია.

ამ პარტიის ვითომდა განახლებული ლიდერებიც კი დღესაც საკუთარი პოლიტიკური წარსულის ქებით არიან დაკავებულნი და მხოლოდ გაკვრით თუ ახსენებენ შეცდომებს, რომელთა შესახებაც ნაციონალურ მოძრაობაში თითქოს არავინ იცოდა.

რასაკვირველია, ჩვენ შევინარჩუნებთ თავისუფალ მედიაგარემოს, სადაც ნებისმიერ მედიასაშუალებას იმის შესაძლებლობაც ექნება, იყოს არაობიექტური, ტენდენციური, პოლიტიკურად ანგაჟირებული და გაავრცელოს არასწორი და ცილისმწამებლური ინფორმაციები, რისი მოწმენიც, სამწუხაროდ, ყოველდღიურად ვართ.

თუმცა, ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ თავისუფლება მედიას მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით არ მოუპოვებია. ყველას გვახსოვს რამდენიმე წლის წინ მიწაზე დაყრილი და იარაღმიბჯენილი ჟურნალისტები, ერთი და იმავე ტექსტებით მოსაუბრე ტელევიზიები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ იმ ქვეყანაში, რომელშიც ასიათასობით ადამიანმა ციხე იწვნია, ხოლო დანარჩენები იგივეს ელოდნენ, ცხოვრება მშვენიერი იყო.

საქართველოში მედია სწორედ ტირანიის დამარცხების შემდეგ გათავისუფლდა და როგორ დაუნდობლადაც არ უნდა აკრიტიკებდეს ხელისუფლებას, რომელსაც არცთუ მცირე წვლილი მიუძღვის ამ თავისუფალი გარემოს შექმნაში, თავად მედიის უფლებებს არავინ შეეხება.

ადრე მედია ამბობდა მხოლოდ იმას, რაც ხელისუფლებას სურდა და, შესაბამისად, ხელისუფლებისთვისაც ადვილი იყო საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება. ნაციონალების ესოდენ ნაქები პიარი, სინამდვილეში იმით გამოიხატებოდა, რომ ყველა არხზე მხოლოდ სააკაშვილი იჯდა დილიდან საღამომდე და ხან სახურავებიდან გვესაუბრებოდა და ხან მღვიმეებიდან. ყველა სხვა ინფორმაცია დახშული იყო.

დღეს მედია გახსნილია, ადამიანებმა თავად უნდა გამოიტანონ დასკვნები, რასაც სათანადო გამოცდილება სჭირდება და რაც ჯერ აკლია ჩვენს საზოგადოებას. მიუხედავად ამისა, სააკაშვილის პროპაგანდას და ცილისწამებას ჩვენ ძალადობით და აკრძალვით კი არ ვუპასუხებთ, არამედ — ანალიზით და მოვლენებისათვის სახელის დარქმევით. როდესაც მედია სრულიად თავისუფალია, საზოგადოებასაც და მთავრობასაც აქვთ უფლება, რომ გააკრიტიკონ იგი და ამხილონ კიდეც, თუკი არაკეთილსინდისიერ ქმედებებს შეამჩნევენ.

## რა მიზანი მაქვს

როცა პოლიტიკაში მოვედი, მე იმედი მქონდა, რომ ჩვენი ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ალღო არ გვიღალატებდა, არ დავიბნეოდით და სწორი არჩევანით ვუპასუხებდით მოძალადე მთავრობას. სინამდვილეში ასეც მოხდა და ქართულმა ოცნებამ გაიმარჯვა.

ხელისუფლებას ჩამოვაშორეთ სწორედ ის ჯგუფი, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში ბოროტი დაჟინებით ცდილობდა მოესპო და გაენადგურებინა ათეულობით საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბებული ქართული ფენომენი, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

ცდილობდნენ, მთელი მსოფლიო დაერწმუნებინათ, რომ ქართველები ვართ მართლმადიდებლური ფანატიზმით შეპყრობილი ველური ხალხი, რომელიც აგრესიულად არის განწყობილი ყველას და ყველაფრის მიმართ და ამიტომ აუცილებელი იყო ჩვენი მათრახით მართვა. მაშინ როდესაც მართლმადიდებლობა, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩვენს მსოფლმხედველობას, სწორედ ჰუმანიზმს და შემწყნარებლობას გვასწავლის და ამასვე ქადაგებდა საუკუნეების განმავლობაში საქართველოს ეკლესია, ქვეყნის სულიერი ფარი, რომელსაც განუზომელი წვლილი მიუძღვის ჩვენი თვითმყოფადობის შენარჩუნებაში.

წელს მთელი საზოგადოება პოლიტიკური სიმწიფის გამოცდას ვაბარებთ. ადრე თეთრსა და შავს შორის ვირჩევდით, დღეს უკვე ბევრი ფერია, გაჩნდა არჩევანის თავისუფლება — ყველა საკუთარ სიმართლეს ამტკიცებს, ყველა საკუთარი ინტერესების გატარებას ცდილობს. ამიტომ, გაცილებით რთულია მართებული არჩევანის გაკეთება.

სიცრუის მანქანა ათასგვარ ცილისწამებას ავრცელებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ და პირადად ჩემს მიმართაც. ამის მიზეზი, მხოლოდ ის კი არ არის, რომ მნიშვნელოვანი წვლილი მიმიძღვის მათ დამარცხებაში, სააკაშვილის გუნდის გაღიზიანებას კიდევ უფრო მეტად იმიტომ ვიწვევ, რომ ძალაუფლების დაბრუნებისთვის ბრძოლაში მათთვის სერიოზულ დაბრკოლებას წარმოვადგენ, რაშიც ნამდვილად არ ცდებიან. აუცილებლად გამოვიყენებ მთელ ჩემს რესურსს, რათა დროის უკან შემობრუნება ვერ შეძლონ და ქვეყანა ისევ საკუთარი სადისტური ექსპერიმენტების ლაბორატორიად არ გადააქციონ.

არასდროს მიტრაბახია საქველმოქმედო პროექტებით თუ წამოწყებებით, მაგრამ, ვინაიდან, ამდენი ცილისწამება მოედინება, იმისათვის, რომ ჩემს თანამოქალაქეებს ზუსტი ინფორმაცია და შესაბამისად მართებული გადაწყვეტილებების მიღების საშუალება ჰქონდეთ, კიდევ ერთხელ სრული პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა, რომ არანაირი ბიზნესინტერესი საქართველოში არ მაქვს. ყველა ის პროექტი, რომელსაც ვახორციელებ, მხოლოდ იმას ემსახურება, რომ ჩვენი ქვეყანა უფრო სანდო და საინტერესო გახდეს ინვესტორებისთვის, უფრო მიმზიდველი — ტურისტებისთვის, ეს ყველაფერი ძალიან ადვილად შესამოწმებელია.

ყველა ბიზნესში ჩახედულმა იცის, რომ უცხოელი ინვესტორი გაცილებით სწრაფად იღებს გადაწყვეტილებას და უფრო გაბედულად იწყებს საქმიანობას, როდესაც მას ადგილობრივი პარტნიორი ხვდება და ფინანსურ თანამონაწილეობას სთავაზობს. სწორედ ინვესტორთა დამატებითი სტიმულირებისთვის ჩემი ინიციატივით დაფუძნდა თანაინვესტირების ფონდი, რომელმაც გაცხადებული 5 მილიარდი დოლარის დიდი ნაწილი უკვე აითვისა, რითაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით და ბევრ ინვესტორს გაუხდა პარტნიორად ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში — დაწყებული სოფლის მეურნეობიდან, დამთავრებული ჰესების მშენებლობით.

გარდა ამისა, თავად ფონდი, ყოველგვარი პარტნიორის გარეშე, აშენებს რვა სასტუმროს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ტურიზმის განვითარების თვალსაზრით. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს პროექტი სრულად იცავს არქიტექტურულ და გარემოსდაცვით ყველა ნორმას და, ამასთანავე, მიმდებარე ტერიტორიების მოვლას და გამწვანებასაც ითვალისწინებს, ჩვენი ოპონენტები, საკუთარი პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, განზრახ დამახინჯებული ინფორმაციების გავრცელებით საზოგადოების გარკვეული ნაწილის შეცდომაში შეყვანას ცდილობენ. მათ სურთ, საქმის ვითარება ისე წარმოაჩინონ, თითქოს მე პოლიტიკაში ფინანსური ინტერესების გამო მოვედი. სწორედ ამიტომ, ადრეც ვთქვი და მინდა, კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ თუ ვინმე გამოჩნდება, ვისაც ამ პროექტების დასრულების სურვილი და შესაძლებლობა ექნება, თანაინვესტირების ფონდი მნიშვნელოვანი ფასდაკლებით დაუთმობს საკუთრებას და ყოველმხრივ დახმარებასაც აღმოუჩენს.

ჩვენ ახლა ვიმყოფებით განვითარების მნიშვნელოვან ეტაპზე, როდესაც თითოეულმა მოქალაქემ დამოუკიდებლად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე უნდა გააკეთოს არჩევანი. ეს კი ძალიან დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ჩემი ეს წერილიც და სატელევიზიო გამოსვლებიც, რომლებსაც წინასაარჩევნოდ ვგეგმავ, იმ მიზანს ემსახურება, რომ ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ, თანამოქალაქეებს შევთავაზო მოვლენების ჩემეული ანალიზი, თუ რატომ უნდა დავუჭიროთ მხარი „ქართულ ოცნებას“ და ამ პარტიის თავმჯდომარეს გიორგი კვირიკაშვილს, რომელიც ნამდვილად გამოირჩევა ერუდიციით, წესიერებით, შრომისმოყვარეობით და სწორედ ისეთი ევროპული ყაიდის, გაწონასწორებული და პრინციპული ლიდერია, როგორიც დღეს სჭირდება საქართველოს.

ცხადია, გაჩნდება შეკითხვა — რატომ უნდა აღმოჩნდეს ვინმესთვის საინტერესო ჩემი ხედვა და რჩევა?! ამ შეკითხვას ასე ვუპასუხებდი — ყველა ადამიანს უყვარს თავისი სამშობლო და არც მე ვარ გამონაკლისი. შეძლებისდაგვარად მეც ვემსახურები ქვეყანას, ამასთანავე, ვფიქრობ, ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგად მაქვს მოვლენების მართებული ანალიზის უნარი, რითაც წარმატებას მივაღწიე როგორც ბიზნესში, ასევე — ქვეყნის ტირანიისგან გათავისუფლებისთვის ბრძოლაში და რაც, შეიძლება, მომავალშიც გამოადგეს ჩემს ქვეყანას.

ჩემი ხედვა, რომელიც ამ წერილში გადმოვეცი და რომელსაც კიდევ უფრო დეტალური და გაშლილი სახით სექტემბერში შემოგთავაზებთ, განპირობებულია მხოლოდ ჩვენი ქვეყნის წარმატების სურვილით. არავითარი სხვა მოტივი არ მამოძრავებს — არც ხელისუფლებაში მოსვლისთვის ვიბრძვი, რაც დავამტკიცე კიდეც, არც რაიმე თანამდებობა მიზიდავს და არც მატერიალურ გამორჩენას ველი. მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით არანაირი პირადული გეგმები ან მიზნები არ გამაჩნია. ჩემი ერთადერთი ფიქრი ის არის, რომ უახლოეს 10-15 წელიწადში კეთილად დავაგვირგვინოთ ის საქმე, რომელსაც ჩვენი წინაპრები საძირკველს საუკუნეების განმავლობაში უყრიდნენ და თქვენთან ერთად მეც და ჩემს ოჯახსაც გვიხაროდეს საქართველოში ცხოვრება.

სწორი არჩევანის შედეგად 2012 წელს ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება! სწორ არჩევანს დღესაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის! დღესაც ჩვენი ისტორიული გამოცდილების და ალღოს იმედი მაქვს! ამიტომ დავწერე ეს წერილი. ამიტომაც ვგეგმავ წინასაარჩევნო პერიოდში ყველა რეგიონში ჩასვლას და ტელევიზიით გამოსვლებს. შევხვდები საზოგადოებას, ვისაუბრებ ქვეყნის წინაშე არსებულ კონკრეტულ ამოცანებზე, ვუპასუხებ ჟურნალისტების და ფეისბუქმომხმარებელთა დასმულ კითხვებს მთავრობის საქმიანობის, ეკონომიკის მდგომარეობის, პოლიტიკური პარტიების, მედიის და ყველა იმ მთავარი საკითხის შესახებ, რისი გათვალისწინებითაც უნდა გავაკეთოთ პოლიტიკური არჩევანი.

დარწმუნებული ვარ, ამჯერადაც გავიმარჯვებთ!

**ბიძინა ივანიშვილი,**
**30 მაისი, 2016 წელი**

# ფერმერთა და მიწათმოქმედთა საყურადღებოდ

## კივი (აქტინიდია) დარგვა, მოვლა-მოყვანა, გასხვლა — ბაღის გაშენება



კივი (აქტინიდია) სუბტროპიკული და ზომიერი სარტყლის ლიანასებრი, ბუჩქოვანი, ფოთოლმცვენი, ხეხილოვანი მცენარეა.

კივის სამშობლოდ იაპონია, ჩინეთი და უსურიის მხარე ითვლება. იგი გავრცელებულია მსოფლიოს, როგორც ჩრდილოეთ ისე სამხრეთ ნახევარსფეროში, კარგად ხარობს ახალ ზელანდიაში, იტალიაში, იაპონიაში, აშშ-ში, საფრანგეთში, ჩინეთში, საბერძნეთში, ესპანეთში, საქართველოში და სხვა ბევრ ქვეყანაში.

ჩვენთან იგი ახალი სუბტროპიკული კულტურაა და ფართო გავრცელება ჰპოვა აფხაზეთში, აჭარაში, სამეგრელოში, გურიაში და აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში. კივის ნაყოფი მდიდარია ჩ, და 2 ვიტამინებით. შეიცავს იოდს, მთრიმლავ ნივთიერებებს, შაქრებს. რბილობი არომატული, წვნიანი და გემრიელია.

### ბიოლოგიური თავისებურებანი

აქტინიდია ფოთოლმცვენი, ორსახლიანი მრავალწლიანი მცენარეა. ეს კულტურა ჯვარედინული დამტვერვით ხასიათდება. იგი ყინვაგამძლა, ჩრდილის ამტანი, ნიადაგისადმი საშუალოდ მოთხოვნი და ტენის მოყვარული მცენარეა. საუკეთესოდ ხარობს ტენით უზრუნველყოფილ ნოყიერ, სილიან და თიხნარ ნიადაგებზე, მაქსიმალურ მოსავალს იძლევა და მცენარე უკეთ ვითარდება, როცა ნიადაგის მჟავიანობა პ — 5,5-6,5-ის ფარგლებშია.

### გავრცელებული სახეობები და ჯიშები

აქტინიდია ძირითადად ველური მცენარეა. მისი პირველი სელექციური ჯიში მიღებული იქნა ახალ ზელანდიაში 1906 წელს, კივის მრავალი ჯიშია ცნობილი, მათგან ყველაზე გავრცელებულია შემდეგი ჯიშები: ჰაივარდი, ბრუნო, მონტი და მათგან მიღებული სხვადასხვა ფორმები. ჯიშების მიხედვით კივის ნაყოფი შეიძლება იყოს გლუვი და ბუსუსებით დაფარული.

### კივის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია

მცენარე გამრავლების კარგი უნარით გამოირჩევა. მისი ფესვთა სისტემა ძირითადად ზედაპირულია და 25-30 სმ-ის სიღრმეში ვითარდება.

გამოირჩევა მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ მდგრადობით, ამიტომაა, რომ ის ის კარგად ხარობს როგორც ტროპიკულ, ასევე სუბტროპიკულ და ზომიერ სარტყლის პირობებში. ამ კულტურის გასაშენებლად შერჩეული უნდა იქნეს ფხვიერი, კარგად დრენირებული და ორგანული ნივთიერებებით მდიდარი სუსტი ან ნეიტრალური რეაქციის მქონე გაკულტურებული ფართობები.

ნიადაგის სათანადო დამუშავების შემდეგ (40-50 სმ-ის სიღრმეზე) შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე პლანტაციას აშენებენ 4Ჩ5 მ. კვებis არით ანუ ჰექტარზე 500 მცენარე.

პლანტაციის გაშენების წინ 15-20 დღით ადრე უნდა მომზადდეს ორმოები ზომით 40-50 სმ-ის, რომელშიც უნდა შევიტანოთ გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელიანი კომპოსტი ან სხვა დანარჩენი ორგანული წარმოშობის სასუქი 15-20 კგ-ის ოდენობით, რომელშიც აირევა 100 გრ. ფოსფოროვანი და 60 გრ. კალიუმიანი სასუქი.

დარგვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეს მდედრობითი და მამრობითი მცენარეების რაციონალურ განლაგებას. როგორც წესი ნაკვეთის კონფიგურაციიდან გამომდინარე 6-8 მდედრობით მცენარეზე ირგვება ერთი მამრობითი მცენარე.

ნერგების დარგვის საუკეთესო ვადაა გვიანი შემოდგომა (ნოემბერი) და ადრე გაზაფხული (მარტ-აპრილი). დარგვის წინ ნერგები ამოიღება პოლიეთილენის პარკიდან და ფრთხილად თავსდება წინასწარ მომზადწებულ ორმოში ნაზავთნ ერთად. იტკეპნება, იკვრება ჭიგოზე და ირწყვება. ნერგების დარგვისას აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდგომისათვის ბაღში შპალელური სისტემის მოწყობა.

მცენარის ზრდა-განვითარების პირველ წლებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვარჯის ფორმირებას და აგროტექნიკურ ღონისძიებათა თნმიმდევრულ და დროულ ჩატარებას.

ხეების მწკრივი თავისუფალი უნდა იყოს სარეველებისაგან. ამის მიღწევა კი შესაძლებელია ნიადაგის ხშირი გაფხვიერებით (ხელის ან მექანიზაციის გამოყენებით), ჰერბიციდების გამოყენებით და დამულჩვით. მულჩად შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც ორგანული ისე არაორგანული წარმომავლობის საშუალებები.

რადგანაც მცენარე ტენის მოყვარულია, ბაღის გაშენებისას უნდა გავითვალისწინოთ წყლის, როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნურად მიწოდების შესაძლებლობა. კარგია თუ ამ მხრივ გამოვიყენებთ მორწყვის წვეთობრივ სისტემას, რაც ტენთან ერთად მცენარეს მინერალური ელემენტებითაც უზრუნველყოფს.

კივის მცენარე მსხმოიარობას იწყებს დარგვიდან სამ წელიწადში, ხოლო სრულ მსხმოიარობას აღწევს 6-8 წელიწადში. ამ დროს ერთ ჰა-დან შეიძლება მივიღოთ 200-300 ცენტ/ჰა მოსავალი. ასეთი მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მიღების უზრუნველსაყოფად საჭიროა ბაღში შევიტანოთ ორგანული სასუქი (ძირითადად გადამწვარი ნაკელი ან დაკომპოსტირებული სხვადასხვა ორგანული წარმომავლობის მასა) 40-50 ტონის ოდენობით.

მინერალური სასუქის შეტანის წლიური დონეები უნდა განისაზღვროს შემდეგი ოდენობით: 130, 100, 70 კგ/ჰა. ორგანულ-მინერალური სასუქების დოზები დამოკიდებულია მცენარის ასაკზე, ნიადაგის ტიპზე, გაკულტურების დონეზე და რელიეფზე.

### ნერგის გამოყვანა (გამრავლება)

კივის გამრავლება ხდება, როგორც თესლით (საძირეების მისაღებად) ისე ვეგეტაციურად (კალმით) და ოკულირებით ანუ მყნობით.

პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება მისი კალმებით გამრავლება, რაც ჯიშური თვისებების შენარჩუნებას უწყობს ხელს, თუმცა ამ შემთხვევაში კალმების დაფესვიანების მაჩვენებელი 40-60 %-ს არ აღემატება.

ამიტომ ბოლო წლებში ხშირად მიმართავენ მის მყნობას. ამ დროს მამრობითი მცენარის ვარჯში (კალამში) მდედრობითი მცენარის კვირტს ამყნობენ და დამყნილ კალამს ათავსებენ პოლიეთილენის პარკში, წინასწარ მომზადებულ სუბსტრატში. ნერგების გამოყვანის ეს მეთოდი ეხლა პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება. ასეთი მეთოდით მიღებულ ნამყენიდან ერთ-ორ წელიწდში შესაძლებელია მივიღოთ სრულფასოვანი ნერგი.

### ნარგავების მოვლა-პატრონობა

კივის კულტურის მოვლა-პატრონობაში სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებათ შორის ერთ-ერთი ყურადსაღები აგროტექნიკური ღონისძიებაა ბაღში შპალერული სისტემის მოწყობა და ნარგავების შპალერული გასხვლა. შპალერის მოსაწყობად საჭიროა რკინის ან ხის ბოძები 2.5-3.0 სიგრძის, რომელთა სიმაღლე დაყენების შემდეგ მიწის ზედაპირიდან არ უნდა იყოს 1.8-2.0 მეტრზე ნაკლები.

მწკრივში ბოძებს შორის მანძილი არ უნდა იყოს 4-5 მეტრზე ნაკლები ან მეტი. დასმულ ბოძებზე იჭიმება უჟანგი მავთული სამ იარუსად. პირველი იარუსი მიწის ზედაპირიდან ზევით უნა იყოს 0,8-1,0 მეტრი, ხოლო მეორე და მესამე იარუსი უნდა იყოს თანაბრად.

დარგვიდან მეორე წელს, როდესაც მცენარე პირველ იარუსს მიაღწევს იწყება მცენარის ფორმირება. მცენარეზე ტოვებენ სამ ზედა ყლორტს, დანარჩენს კი აცლიან. ერთ ყლორტს ზრდიან ზედა იარუსების მიმართულებით, დანარჩენ ორს კი უშვებენ პირველ იარუსზე საპირისპირო მიმართულებით და ამაგრებენ მავთულზე.

სავეგეტაციო პერიოდში ყლორტების ზრდის შესაბამისად ხდება მისი შემდგომი ფორმირება: აცლიან ზემოთ და ქვემოთ მასზე განვითარებულ ყველა ყლორტს, ტოვებენ მხოლოდ გვერდით (სიგრძეში) განვითარებულ ნაზარდებს. კერძოდ ყოველ მეორე — მესამე ყლორტს იმ ანგარიშით, რომ მათ შორის მანძილი იყოს 40-50 სმ.

მეორე იარუსამდე გაზრდილ ტოტს აცლიან ზედა კვირტს, რომელიც ზრდის შესაბამისად მაგრდება მავთულის გასწვრივ ორივე მხარეზე. ამის შემდეგ შემდგომი ფორმირება ხდება პირველ იარუსზე ჩატარებული ფორმირების ანალოგიურად.

მეორე — მესამე წელიწადს კი როცა მცენარეს მსხმოიარობა ჯერ კიდევ არ დაუწყია, ზამთარში შემდგომი ვეგეტაციის დაწყებამდე ახდენენ მის გასხვლას. ამ დროს გვერდით ტოტებზე ტოვებენ ორსამ კვირტს, დანარჩენ ნაწილს კი აცლიან.

გაზაფხულზე, როცა ამ კვირტებიდან ყლორტები იწყებენ განვითარებას, ტოვებენ ერთ განვითარებულ ყლორტს, დანარჩენს კი აცლიან.

მეოთხე-მეხუთე წელს, როცა მცენარე მსხმოიარობაში შედის გასხვლა ტარდება გაზაფხულზე, ხოლო ვეგეტაციის პერიოდში-პინცირება.

საგაზაფხულო პინცირების დროს, ივლის-აგვისტოში, ყლორტებს აცლიან უკანასკნელი ნაყოფიდან მეექვსე-მეშვიდე ფოთოლს, რათა მცენარეს მოშორდეს ზედმეტი მწვანე მასა და ხელი შეეწყოს ნაყოფის უკეთ ზრდა-განვიარებას.

ზამთრის გასხვლის დროს უკანასკნელი ნაყოფის ყუნწის შემდეგტოვებენ ორ კვირტს, დანარჩენს კი აცლიან. შემდგომში ამ ორი კვირტიდან წამოსული ყლორტიდან ტოვებენ უკეთესს, რომელიც სამომავლოდ ნაყოფს მოგვცემს.

მცენარის 7-8 წლის ასაკის მიღწევისას რეკომენდირებულია მცენარის გაახალგაზრდავება, რაც გასხვლით მიიღწევა. ამ დროს ვარჯს უნდა მოვაცილოთ მისი მოცულობის 25%. ახლად წარმოქმნილი ყლორტები კი ფორმირდება ზემოთ აღწერილი წესის შესაბამისად.

### კივის მავნებლები და დაავადებები

აქტინიდია სხვა ხეხილოვნებისაგან განსხვავებით გამძლეა დაავადებებისა და მავნებლების მიმართ, თუმცა მასზე აღმოჩენილია შემდეგი დაავადებები: ფოთლის ჩვევლებრივი და აბლაბუდისებრი ლაქიანობა, ნაყოფის სიდამპლე, მწვანე და ნაცრისფერი ობი. მავნებლებიდან: ფოთოლჭამია ხოჭო და ფოთოლხვევიას მუხლუხა მატლები.

**ბრძოლის ღონისძიებები:**

დაავადებული ბუჩქების შესხურება 1 %-იანი ბორდოს და 0,4 %-იანი კუპროზანის ხსნარით. პირველი წამლობა კვირტების დაბერვამდე, ხოლო მომდევნო ყოველ 10-15 დღეში. ასევე დაფ-ქვული გოგირდის და კალცირებული გოგირდის 0,5 %-იანი ხსნარით.

ამასთანავე უნდა ჩატარდეს სათბურის, ტარისა და ნაყოფის შესანახი სათავსოს დამუშავება 5%-იანი ფორმალინის ხსნარით.

მოსავლის აღება, შენახვა, რეალიზაცია.

რეგიონისა და ადგილმდებარობის მიხედვით კივის ნაყოფი იკრიფება ოქტომბრის ბოლოს და ნოემბრის დასაწყისში. ნაყოფის კრეფა ხდება ხელით, დიდი სიფრთხილით, მცირე ზომის კალათებში.

მოკრეფილ ნაყოფს ახარისხებენ და ინახავენ გრილ სარდაფებში 1-2°C ტემპერატურის პირობებში. სასურველია ნაყოფი შევინახოთ სამაცივრო მოწყობილობებში, სადაც მისი შენახვა შესაძლებელია 5 თვის განმავლობაში.

Agrokavkas.ge-**მასალების მიხედვით**

**მოამზადა ია გიგიაშვილმა**

## ფუტკრის ოჯახების მოვლა-პატრონობა



*ფუტკრის ოჯახების ცხოვრებაში, წლის განმავლობაში შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი პერიოდი: აქტიური მოქმედების და ზამთრის მოსვენებითი მდგომარეობა. აქტიური მოქმედების პერიოდი ემთხვევა თაფლოვანი მცენარეების ყვავილობას, ხდება ფუტკრის სწრაფი გამრავლება, ფუტკრის ოჯახების განვითარება, ბუდის მშენებლობა, საკვები მარაგის დაგროვება. ფუტკრის მოვლას გაზაფხულზე უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება, რადგან ფუტკრის ოჯახების კარგი განვითარება (ოჯახის სიძლიერე) — ნექტრის დიდი რაოდენობით შეგროვებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ეფექტური დამტვერიანების წინაპირობაა.*

### საგაზაფხულო სამუშაოები საფუტკრეში

გაზაფხულზე ყურადღებით მოწმდება ფუტკრის ოჯახები, რათა დადგინდეს გამოზამთრების შემდეგ სკაში არსებული მდგომარეობა. საგაზაფხულო შემოწმების შედეგად დგინდება საკვების რაოდენობა, ფუტკრის ოჯახის სიძლიერე, ბარტყის რაოდენობა და დედის ხარისხი, აგრეთვე ბუდის საერთო სანიტარული მდგომარეობა.

ფუტკრის ოჯახის სიძლიერე განისაზღვრება ჩარჩოების ორივე მხარეს მთლიანად მსხდომი ფუტკრის რაოდენობით.

ბარტყის რაოდენობა განისაზღვრება ბარტყით დაკავებული ჩარჩოების რაოდენობით;

დედის ხარისხი ფასდება ჩარჩოებზე ბარტყის რაოდენობის ინტენსიობით;

სკაში თაფლის რაოდენობის განსაზღვრა ხდება ვიზუალურად (ერთი ფიჭიანი ჩარჩო 435მმ X 300 მმ, რომელიც სავსეა ჩარჩოს ორივე მხარეს, შეიცავს 3,5-4,0 კგ თაფლს);

ბუდის არადამაკმაყოფილებელი სანიტარული მდგომარეობის დროს ხდება სკების დეზინფექცია (სადეზინფექციო საშუალება ფუნგისანი).

გაზაფხულზე როდესაც სკაში ბოლოს წინა ჩარჩოზე გამოჩნდება ბარტყი, უნდა მოხდეს ბუდის გაფართოება უპირველესად აშენებული ფიჭებით, ხოლო შემდგომ მიეცემა ხელოვნური ფიჭები. ადრე გაზაფხულზე, ულალო პერიოდში მუშა ფუტკრების მიერ ფიჭის მშენებლობა არ ხდება, იმისათვის, რომ არ შეფერხდეს დედის კვერცხმდებლობა, საჭიროა მეფუტკრემ მისცეს ფ/ოჯახს აშენებული ფიჭები. მეფუტკრის ხშირი შეცდომაა, როდესაც ღალიანობის თანდათანობით მომატების პერიოდში, ის აგვიანებს ბუდის გაფართოებას ხელოვნური ფიჭების მიცემით, რის გამოც მცირდება საფუტკრეში ცვილის მთლიანი შემოსავალი. გარდა ამისა, მცირდება ფუტკრის ოჯახების შრომისუნარიანობა — ახალგაზრდა ფუტკრები არ არიან დატვირთული სკის შიდა სამუშაოებით, რის გამოც წარმოიქმნება სანაყრე მდგომარეობა, რომელიც საფუტკრეს საგრძნობ ეკონომიკურ ზარალს აყენებს.

აქტიურ სეზონზე (აპრილი-მაისი) მეფუტკრემ თავის საფუტკრეში უნდა მოახდინოს ფუტკრის ოჯახების გამრავლება. განასხვავებენ ფუტკრის ოჯახების გამრავლების ორ ხერხს — ბუნებრივს და ხელოვნურს. მეფუტკრეობის პრაქტიკაში ახალ ოჯახებს ძირითადად ღებულობენ ხელოვნური ნაყრის სახით, რადგან ბუნებრივი ნაყრიანობა წარმოიქმნება სტიქიურად, რაც არ გვაძლევს მეფუტკრეობის გეგმიური განვითარების საშუალებას. ბუნებრივი ნაყრიანობისაგან განსხვავებით, ხელოვნური ნაყრები შეიძლება ვაწარმოოთ ჩვენთვის სასურველ დროს მაღალპროდუქტიული, ნაკლებად აგრესიული და დაავადებების მიმართ მდგრადი ფუტკრის ოჯახებიდან. ფუტკრის ოჯახების ხელოვნური გაყოფის რამოდენიმე ხერხი არსებობს: ინდივიდუალური, ნაკრები, ფუტკრის ოჯახების შუაზე გაყოფა და დედაზე ან სადედეზე დაფრენა. ხელოვნურ ნაყრებს მიეცემათ მავთულ-ბადიან გალიაში ჩასმული გაუნაყოფიერებელი, ან განაყოფიერებული, ან მწიფე სადედე. თუ ოჯახის გამრავლების მიზნით მეფუტკრეს არ ყავს საფუტკრეში სათადარიგო დედა ფუტკარი, მან განაყოფიერებული დედა უნდა შეიძინოს სხვა დაავადების მიმართ კეთილსაიმედო საფუტკრეებიდან.

ფუტკრის ოჯახის ნაწილს, რომელიც გამოეყოფა ძირითად ოჯახს, ეწოდება ნაყარი, ხოლო ახალი ოჯახის ჩამოყალიბების პროცესს — ნაყრიანობა. ფუტკრის ოჯახში სანაყრე მდგომარეობა წარმოიშობა მაშინ, როდესაც ახალგაზრდა ფუტკრები არ არიან დატვირთული თავიანთი საქმიანობით, ბუდეში არის სივიწროვე, ხდება ცუდი ვინტილაცია, გადახურება და სხვა.

### საშემოდგომო სამუშაოები საფუტკრეში

ბუნებაში ფუტკრების მიერ ნექტრის შემოტანის შემცირების შემთხვევაში (ჩვენს პირობებში ეს პერიოდია — სექტემბრის ბოლო — ოქტომბრის დასაწყისი) საშემოდგომო შემოწმების დროს ვადგენთ ფუტკრის ოჯახში დედა ფუტკრის არსებობას და მის ხარისხს, ბარტყის რაოდენობას, ბუდის საერთო მდგომარეობას, ფიჭის ხარისხს, საკვების რაოდენობას. საშემოდგომო აღწერის დროს ხდება ბუდის შემოწმება. სკიდან ამოღებული უნდა იქნას ზედმეტი ჩარჩოები, რომლებსაც ფუტკარი არ ფარავს. მოწმდება საკვების ხარისხი, რომელიც დატოვებულია ფუტკრის ოჯახებში გამოსაზამთრებლად (ერთ ჩარჩო ფუტკარზე — 2,0 კგ. თაფლი), ყურადღება უნდა გამახვილდეს დაკრისტალებულ თაფლზე. ამ შემთხვევაში ასეთი ჩარჩოები ამოიღება სკიდან რადგანაც გარკვეული პერიოდის შემდეგ შაქრდება ფიჭის უჯრედებში და ზამთარში ფუტკრის საკვებად არ გამოდგება, რაც იწვევს ფ/ოჯახის დაღუპვას. მოუმწიფებელი, გადაუბეჭდავი თაფლი კრისტალდება. კრისტალიზაციის თავიდან ასაცილებლად ღალიანობის დროს ფუტკრის ოჯახებს უნდა მიეცეს ცარიელი ფიჭები ძველი თაფლის გარეშე.

ფუტკრის გამოზრდა შემოდგომაზე მეფუტკრის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობაა, რათა დაზამთრებაში შეიყვანოს რაც შეიძლება ძლიერი ფუტკრის ოჯახები. გარდა ამისა, რაც უფრო მეტი ახალგზრდა ფუტკარი შედის დაზამთრებაში, მით უკეთესად ზამთრობენ ისინი და გაზაფხულზე კარგად ვითარდებიან. ფუტკრის ოჯახებს უნდა შევუქმნათ მოვლის ოპტიმალური პირობები ბარტყის გამოსაზრდელად აგვისტოში. ამ დროს ფუტკრის ოჯახებს უნდა მიეცეს გამალიზიანებელი საკვები, რათა დედამ მოუმატოს კვერცხდებას. დადებული კვერცხიდან ვითარდება დაზამთრებაში შესასვლელი ფუტკარი, რომელიც გაზაფხულზე აქტიურად მუშაობს.

ფუტკრის ოჯახებში ახალგაზრდა ფუტკრების რაოდენობის გაზრდა შესაძლებელია შემდეგი პირობების დაცვით:

1. ოჯახში ახალგაზრდა დედის ყოლა (2 წლამდდე ასაკის);
2. დიდი რაოდენობით სამარაგო საკვები;
3. კარგი გამოსაყენებელი ფიჭები (ღია ყავისფერი და არა გაშავებული ან ახლად-აშენებული);
4. წამაშველებელი ღალა (მცირე ღალიანობა ბუნებაში)

### ფუტკრის დამატებითი გამოკვება

სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისაგან განსხვავებით ფუტკრის ოჯახი თვითონ ამზადებს თავისთვის საჭირო საკვებს. საკვების მაქსიმალური რაოდენობით მოხმარება ხდება ივნის-ივლისის თვეში, როდესაც სკაში დიდი რაოდენობით იმყოფება ფუტკარი და გამოსაზრდელი ბარტყი. ყველაზე ნაკლები რაოდენობით საკვები მოიხმარება ნოემბერ-იანვარში, როდესაც ფუტკარი იმყოფება შედარებით მოსვენებულ მდგომარეობაში (ამ დროს წყდება ბარტყის გამოზრდა, ფუტკარი იკვრება გუნდად). ფუტკრის ოჯახში ყოველთვის უნდა იყოს ხარისხიანი ნახშირწყლოვანი და ცილოვანი საკვები. საკვების რაოდენობა განისაზღვრება ფუტკრის ოჯახის სიძლიერის მიხედვით. ერთ ჩარჩო ფუტკარს ზამთრის განმავლობაში ესაჭიროება 2,0 კგ საკვები. მეფუტკრეობის პრაქტიკაში ხშირად ხდება, როდესაც ადრე გაზაფხულზე (მარტი) და შემოდგომით (საქართველოში — აგვისტო) მცირეა საკვების რაოდენობა. ამ დროს უნდა მოხდეს ფუტკრის ოჯახების დამატებითი კვება შაქრის სიროფის გამოყენებით: გაზაფხულზე (1 X 1) და შემოდგომაზე (2X1 ან 3X2) დამატებითი საკვები უნდა მიეცეს დიდი პორციებით 2-3 კგ რაოდენობით, რათა შევსებული იქნას საკვები მარაგი.

გამალიზიანებელი კვება გამოიყენება გაზაფხულზე და შემოდგომაზე (იგივე თვეებში, როდესაც ბუნებაში ნექტარი არ მოიპოვება), რათა ფუტკრის ოჯახებში გაიზარდოს დედა ფუტკრის კვერცხმდებლობა. ფუტკრის ოჯახებს შაქრის სიროფი მიეცემათ დღეგამოშვებით (1X1) მცირე პორციებით (250-300 გ)

ორივე შემთხვევაში კვება უნდა ჩატარდეს საღამოს ფუტკრის ქურდობის თავიდან ასაცილებლად.

ფუტკრის ოჯახის ბიოლოგიის ცოდნის და სწორი მოვლა-პატრონობის შედეგად მეფუტკრე შეძლებს მის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებას და საფუტკრის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**მოამზადა**

**ალექსანდრე გიგილოშვილმა**

# საღვთო ნიჭები

## სულიწმინდა აცისკროვნებს მათ, ვისაც სულიერი თვალები აქვს

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

უნდა გავცეთ, რომ მოვიგოთ რამე, თორემ ხელცარიელები დავრჩებით, როცა ღმერთი მოგვკითხავს. ამიტომაც არიან ეგრე გულმართალნი ეს სიტყვები: „რასაცა გასცემ — შენია, რაც არა — დაკარგულია“. ის ღვთის მადლი, რომელიც ყოველ კაცს თავდაპირველადვე ჩაგვსახებია, ჩვენთვის დაკარგულია, თუ სიკეთე არ მოვაგებინეთ“. ის ზარმაცი მონა ყველაზე მეტად იმიტომ ისჯება, რომ თავის სიზარმაცესა და დაუდევრობას ბატონს აბრალებს. იგი პირისპირ უწოდებს მას შეუბრალებელსა და ხარბს. ტალანტის მიმცემს ადანაშაულებს თავის დაღუპვაში. თითქოს ამ ტალანტის მიცემით ბატონმა მას თავსატეხი გაუჩინა, ტვირთი აჰკიდა. თავსაც კი იწონებს იმით, რომ ტალანტს მთლიანად უბრუნებს ბატონს. სინამდვილეში ღვთისთვის ამ ტალანტთა დაბრუნება შეუძლებელია: ისინი შეიძლება ან გამრავლდეს, ანდა საერთოდ დაიკარგოს. თუ ადამიანი არ ისარგებლებს თავისი შესაძლებლობებით, მისი ხორციელი და სულიერი ძალები უმოქმედობისაგან თანდათანობით განილევა, დაჩლუნგდება და ასე აღსრულდება მასზე ქრისტეს სიტყვა: „რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს, და რომელსა არა აქუნდეს და რომელ-ღა იგი აქუნდეს, მოვეღოს მისგან“. ამიტომ ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი: „ვინც მიიღო ნიჭი სიყვარულისა და სწავლებისა სხვათა სიკეთისათვის და არ ასარგებლებს მათ, იგი თავად ღუპავს ნიჭიერებას... ღმერთმა იმიტომ მოგვცა ნიჭი სიტყვისა, ხელი, ფეხი, სიძლიერე სხეულისა და გონება, რათა ყოველივე ეს გამოვიყენოთ საკუთარი ხსნისათვის და მოყვასის სასიკეთოდ. თუ ვსარგებლობთ ამ სიკეთეებით, მაშინ მივემსგავსებით უფალს, ხოლო თუ პირიქით, — მაშინ მივემსგავსებით ეშმაკს“.

— **ნათლობის საიდუმლოს აღსრულების დროს მირონცხებით მორწმუნეს სულიწმინდის სახელით ეძლევა სულიწმინდის ნიჭები. როგორ ვლინდება ამ ნიჭების მოქმედება სულიერ ცხოვრებაში?**

— სულიწმინდის ნიჭების მოქმედება მრავალნაირად ვლინდება. უპირველეს ყოვლისა ეს არის — სიყვარული, რომელიც ფესვია ყველა კეთილი საქმისა. სულიწმინდა ადამიანს აძლევს სიბრძნეს. ეს კარგად ჩანს წმინდა მოციქულების მაგალითზეც. ისინი სულიწმინდის მიღებამდე იყვნენ ყველაზე უბრალო და უსწავლელი ადამიანები, შემდეგ კი, ვიცით, უფლის მადლმა რამდენი რამ ასწავლა მათ და განაბრძნო. სულთმოფენობის დღეს მოციქულებზე გარდამოვიდა სულიწმინდა. მოციქულებმა მიიღეს არა რაღაც ნაწილი მადლისა, არამედ — სრული ძალა. თითოეულ მათგანს ცეცხლოვანი ენები დაეფინა და ისინი მოინათლნენ, განიბანნენ სულიწმინდის ნათელში. ეზიარნენ ცეცხლს, რომელიც კი არ წვავს და ფერფლად აქცევს, არამედ აღადგენს, ანადგურებს ცოდვებს და განაბრწყინებს სულს. მათ დაიწყეს უცხო ენებზე საუბარი. სულიწმინდის მადლით განათლებულმა პეტრე მოციქულმა თავისი მჭევრმეტყველური ქადაგებით სამი ათასი სული მოაქცია. სიბრძნესთან ერთად სულიწმინდა ადამიანს ანიჭებს ჭეშმარიტ სიხარულს, მხნეობას, სიმშვიდეს, თავმდაბლობას, მორჩილებას... სულიწმინდის დახმარების გარეშე შეუძლებელია საკუთარი თავის შეცნობა, საკუთარი სულის მდგომარეობის დანახვა-განჭვრეტა; სულიწმინდა ასწავლის ადამიანს ჭეშმარიტ ლოცვას, რადგან ესეც ნიჭია — იცოდე, რა და როგორ ითხოვო უფლისაგან. სულიწმინდის განსაკუთრებული ნიჭებით იყვნენ აღვსილნი და განბრძნობილნი მართალი და წმინდა ადამიანები, წინასწარმეტყველები, მოწამეები... პეტრე მოციქულის ჩრდილიც კი კურნავდა ათასობით სნეულ ადამიანს. პავლე მოციქული სულიწმინდის ნიჭმა „რჩეულ ჭურჭლად“ ცნო. სულიწმინდის სასწაულებრივი ქმედებანი უხვად გამოვლინდა მის ცხოვრებაში.

— **რამდენად უნდა შეუწყოს ხელი კაცმა თავის თავში ღვთისგან ბოძებული ნიჭის განვითარებას? რა მართებს, რომ ღირსი გახდეს ამ ნიჭისა?**

— ადამიანი თვითონ უძლურია, რომ თავის თავს რამე სიკეთე მიანიჭოს. ამიტომ „ითხოვდეთ და მოგეცეთო“, — ნათქვამია სახარებაში. ერთ-ერთი საიმედო საშუალებათაგანი სულიწმინდის ნიჭის მიღებისა არის სწორედ ლოცვა და მორჩილება. უპირველეს ყოვლისა, ადამიანს უნდა ახსოვდეს, რომ თუკი რამ სიკეთე გააჩნია, ამით თავი არ უნდა მოიწონოს. ღვთის მადლის გარეშე ადამიანი მხოლოდ ცოდვილი მიწაა. ადამიანმა თვითონ არ უნდა დაადოს თავის ნიჭს ფასი. კაცი მხოლოდ იარაღია უფლისა, რომლის საშუალებითაც ის მოქმედებს. ქრისტიანმა, უპირველესად, სიმდაბლე უნდა მოიხვეჭოს. ჩვენ ვიცით, რომ ამპარტავნებამ აქცია მთავარანგელოზი სატანად ანუ ღვთის მოწინააღმდეგედ. ამპარტავნება არის ცრუ შეგრძნება საკუთარი თავის უპირატესობისა. წმინდა იოანე სინელი ამბობს: „მრავალნი შევიდნენ სასუფეველში წინასწარმეტყველებათა და სასწაულთა გარეშე, ხოლო სიმდაბლის გარეშე ვერავინ შევა ზეციურ საუფლოში“.

— **ხშირად ნიჭიერი ადამიანები მიჩვეულნი არიან ქებას, იპყრობთ განდიდების მანია... ნიჭიერება, გარკვეულწილად, დაკავშირებულია ხიბლთან. რამდენად დიდია ამ მდგომარეობაში ჩავარდნის ცდუნება და საფრთხე?**

— რა თქმა უნდა, ბოროტი ძალა ყოველ ღონეს იყენებს სიკეთის ბოროტებად გადასაქცევად. „ყოველგვარი ნიჭი ზეგარდამო არს“. მაგრამ ეშმაკი ცდილობს მის ჩაყენებას თავის სამსახურში. ხიბლის საფუძველიც, რა თქმა უნდა, ამპარტავნება და ქედმაღლობაა. ამპარტავნება კი აახლოებს ადამიანს ამპარტავან სულთან — დემონთან. არქიმანდრიტი რაფაელ კარელინი წერს: „ამპარტავანი იღებს ინფორმაციას დემონებისგან, დაცემული, განკვეთილი, ბნელი სულებისგან; ინფორმაცია გახლავთ ბრწყინვალე იდეებით წარმოდგენილი და მათ ამპარტავანი ადამიანი აღიქვამს, როგორც სულიერ აღმოჩენას და თვლის, რომ ჯერ არც ერთ მოღვაწეს არ ჰქონია მისდარი ცოდნა“. გრძნობის სფეროში სატანა აძლევს ასეთ ადამიანს ცრუ ნიჭებს, რაღაც უცნაურ აღმაფრენას, რომელიც მას სულიწმინდის მადლი ჰგონია. იგი თვლის, რომ ეს არის უმაღლესი სულიერი მდგომარეობა, მისი სულის სამოთხე. სინამდვილეში კი ეს აღმაფრენა მხოლოდ მისი ვნებებია, რომელთაც აღძრავს და სხვადასხვა სახით სთავაზობს დემონური ძალა. ანუ ნერვულ აღგზნებას იგი ღვთისგან ბოძებულ მდგომარეობას უწოდებს. ხიბლში მყოფი ინფორმაციას გრძნობიერ დონეზეც იღებს. მას შეიძლება რაღაც უცნაური ხილვები ჰქონდეს: ზოგჯერ — ქაოსური ჩვენება, ზოგჯერ — დემონის მიერ გათამაშებული სცენები, ზოგჯერ ესმის ხმები, რომელთაც სერაფიმებისა და მთავარანგელოზების გალობად აღიქვამს და ა. შ. ბოლოს, ასკვნის, რომ ღმერთმა იგი აირჩია წინასწარმეტყველად, თავის მოსაუბრედ, რომ იგი ყველა აზრსა და გულისხმას პირდაპირ ღვთისგან იღებს; თვლის, რომ, მართალია, წმინდა მამებმა მიაღწიეს გარკვეულ სიმაღლეებს, მაგრამ იგი მაინც მათზე უპირატესია. ხიბლში მყოფი ადამიანისგან განსხვავებით, ერთ-ერთი წმინდა მამა ამბობს: „ნუ მოიხიბლები შინაგანი სიტკბოებებით; ჯვრის გარეშე ისინი არამყარი და სახიფათოა. ყოველი ადამიანი შენზე უმჯობესად მიიჩნიე. ამ გულისსიტყვის გარეშე, სასწაულიც რომ აღასრულოს ვინმემ, მაინც შორს იქნება ღვთისაგან“.

წმინდა მამათა ცხოვრებებში გვხვდება არაერთი მაგალითი იმისა, თუ რა მდგომარეობამდე შეიძლება მიიყვანოს მოსაგრე ადამიანი საკუთარი ნიჭების რწმენამ და მათზე სასოებამ. წმინდა ისააკ ასური მოგვითხრობს ერთი ედესელი ჭაბუკის — მალპასის შესახებ, რომელმაც გაიცნო იმ დროში მოღვაწე მამები, მათგან ღვთივსულიერი სწავლებები მოისმინა და ცეცხლივით აღეგზნო, აირჩია განდეგილის ნაგებობა და შრომას, უწყალო გაჭირვებებსა და განუწყვეტელ ლოცვას მისცა თავი. როდესაც მასში დიდებისმოყვარეობის ვნება უზომოდ აგიზგიზდა, ანუ იმ მაღალი ნიჭების იმედი მიეცა, რომელთა შესახებაც წმინდა მამათაგან სმენოდა, ვერ გულისხმაყო ეშმაკის ხრიკები და რადგანაც არ ჰქონდა შესწავლილი ბოროტ ძალებთან ბრძოლის ხელოვნება, არ ჰქონდა მოპოვებული მათთან საბრძოლველი უძველესი იარაღები — თავის დამცირება, სიმდაბლე, გულშემუსვრილება, ამიტომ იმედი შრომაზე, გაჭირვებაზე, უპოვარებაზე, მოღვაწეობასა და მოთმინებაზე დაამყარა. იმის ნაცვლად, რომ თავი „უმაქნის მონად“ მიეჩნია, თავის ღვაწლზე დაფუძნებული თავდაჯერება შეაგება მტერს. მალპასი მაღალი ნიჭების მიღების სურვილით იწვოდა, ხილვები სწყუროდა იმ საიდუმლოებათა განსაცდელად, რომელთა შესახებაც სმენოდა. ვერაგმა მტერმაც არ დააყოვნა, ბრწყინვალე ნათელში გამოეცხადა მას და თაყვანისცემა მოსთხოვა. მალპასმა სიხარულით მიიღო იგი და მყისიერად მისი ძალაუფლების ქვეშ მოექცა. მტერმა ღვთაებრივი ხილვის ნაცვლად საეშმაკო ოცნებებით აავსო იგი, აღაზვავა და ჭეშმარიტებისათვის შრომა მიატოვებინა.

შეიძლება ხიბლი ასე აშკარა ფორმითაც არ გამომჟღავნდეს. ხანდახან ადამიანს ეუფლება ფარული სიამაყის, თვითკმაყოფილების, საკუთარი თავის უპირატესობის, გამორჩეულობის, სხვებზე აღმატებულობის გრძნობები. ყველა ამ შემთხვევას ერთი საფუძველი აქვს — ესაა შინაგანად საკუთარი თავის გაღმერთება, ღვთისგან მოცემულის დაჩემება, სასოება საკუთარი ძალებისა და ღირსებების მიმართ. ნიჭი მხოლოდ მაშინ გამოიღებს კეთილ ნაყოფს, როდესაც იგი ღვთის სადიდებლად იქნება მიმართული, როდესაც ცხონების საშუალებად მივიჩნევთ. მაშინღა შევძლებთ ღვთისმსახურებაზე, რომელიც, სხვათა შორის, სულიწმინდის ერთ-ერთ ნიჭად ითვლება, უფლისადმი წრფელი გულითა და სუფთა სინდისით აღვავლინოთ ლოცვა: „შენნი, შენთაგან, შენდა შემწირველნი ყოველთა და ყოვლისათვის!“

**სტატიის ავტორი**
**ლელა ჩხარტიშვილი**

# უკანასკნელ წლებში საქართველოში და მათ შორის კახეთშიც საკმაოდ პოპულარული გახდა ზეთისხილის ბაღების გაშენება



*ზეთისხილი უძველესი და უძვირფასესი მცენარეა, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს რელიგიურ ლიტერატურაშიც: იერუსალიმში დიდებით შესულ მაცხოვარს ხალხი ფეხქვეშ სწორედ ბზისა და ზეთისხილის რტოებს უფენდა, რაც ღვთისადმი დიდი პატივისცემის გამოხატულება იყო. გარდა სიძველისა და სილამაზისა, ზეთისხილს წმინდა პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს: მისი ნაყოფი და ზეთი შეუცვლელია როგორც კვებითი, ასევე სამკურნალო თვალსაზრისით. ამ მცენარისგან განსაკუთრებულ ზეთს ხდიან, რომელიც აძლიერებს იმუნიტეტს და ზრდის ორგანიზმის გამძლეობას სხვადასხვა დაავადების მიმართ. რეგულარულად ზეთისხილის ნაყოფისა და ზეითუნის ზეთის მიღება ამცირებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა რისკს და აფერხებს თრომბის წარმოქმნას... განსაკუთრებით განთქმულია საბერძნეთი. იგი ზეთისხილის სამშობლოდ ითვლება, რის შესახებაც არაერთი ბერძნული მითი იძლევა ინფორმაციას. საბერძნეთის გარდა ზეთისხილი მოჰყავთ ესპანეთში, იტალიაში, ლათინოამერიკულ ქვეყნებსა და წყნარი ოკეანის ზოგიერთ კუნძულზეც კი.უძველესი ზეთისხილის ხე დაახლოებით 3500-5000 წლისაა და კრეტას დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. მას ელაია ბუობის ჰქვია. მიუხედავად იმისა, რომ ხე ძალიან ძველია, ნაყოფს დღემდე ისხამს.*

*უკანასკნელ წლებში საქართველოში და მათ შორის კახეთშიც საკმაოდ პოპულარული გახდა ზეთისხილის ბაღების გაშენება. ეს კულტურა ცნობილია როგორც მაღალმოსავლიანი და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო, რომელიც ფართოდ გამოიყენება როგორც კვების მრეწველობაში ასევე ფარმაკოლოგიაში. რა პერსპექტივა აქვს ზეთისხილის ბაღების გაშენებას ამასთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვით მივმართეთ საქართველოს აგრარიკოსთა კავშირის წევრს ანდრო ხეთერელს.*

— **ბატონო ანდრო,როგორი პირობებია კახეთში ზეთისხილის კულტურის მოყვანისთვის და რატომ დაინტერესდა ჩვენი მოსახლეობა გაეშენებინათ ბაღები?**

— არსებობს ზეთისხილის არსებობის ისტორიული ფაქტები საქართველოში. ცნობილია, რომ საქართველოში, აფხაზეთის და კახეთის მშრალ სუბტროპიკულ ზონაში, ოდითგანვე იყო გავრცელებული ზეთისხილის კულტურა.

ზეთისხილის მოშენება 1879 წ ახალ ათონში დაიწყეს ბერებმა და დიდი პლანტაცია გააშენეს.გასაბჭოების შემდეგ ეს პლანტაცია საბჭოთა მეურნეობად გადაკეთდა. მაშინდელი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში ვერ განხორციელდა ჩანაფიქრის შესრულება, ზეთისხილს სხვა კულტურა ჩაანაცვლეს. ხოლო რაც შეეხება ახლანდელ დაინტერესებას, ეს უპირველესად ყოვლისა გამოწვეულია ორი ძირითადი ფაქტორით:

1. ბუნებრივ-კლიმატური
2. ეკონომიკური

ცნობილია ზეთისხილის 60-მდე სახეობა. მარადმწვანე, სუბტროპიკულ ხეხილოვანი მცენარეა, აღწევს — 4-12 მ სიმაღლეს. ფოთლები წვრილი, ლანცეტისებური აქვს, ზემოდან მუქი მწვანე, ქვემოდან — მოვერცხლისფრო-ნაცრისფერი.

ნაყოფი კურკიანია, მოგრძო-ოვალური ან მომრგვალო ფორმისა. თესლიდან გამოზრდილი მცენარე მსხმოიარობას იწყებს 10-12, ხოლო კალმიდან გამოზრდილი 4-5 წლის შემდეგ. ცოცხლობს 300-400 წელზე მეტ ხანს.



ერთი ხიდან 15-60კგ. მოსავალი მოდის. ზეთისხილი ხარობს თითქმის ყველა ტიპის ნიადაგში,მაგრამ უმჯობესია მისი გაშენება კარბონატულ-ყავისფერ, ალავიურ ნიადაგებსა და მშრალქვიან ფერდობებზე. ზეთისხილი — 7 — 9 გრადუს ყინვას უძლებს.

მშრალი სუბტროპიკული ზონა რომელიც დამახასიათებელია კახეთის ზოგიერთი რაიონისათვის წარმოადგენს ხელსაყრელ გარემოს ზეთისხილის წარმოებისათვის.

—**რას გვეტყვით ზეთისხილის დარგვის, მოვლის და მისი ზრდა განვითარების შესახებ, ანუ რამდენ ხანში იძლევა მოსავალს?**

—ზეთისხილის დარგვა უმჯობესია ნოემბრიდან მაისის ჩათვლით პერიოდში. დარგვისას საჭიროა ნერგის მორწყვა. მცენარის წყლით უზრუნველყოფა მომავალშიც აუცილებელია გაგრძელდეს, ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორებიდან (მოსული ატმოსფერული ნალექის მიხედვით) გამომდინარე. შემდეგ დარგვიდან 1 თვეში, მორწყვა დამოკიდებულია ნალექის ატმოსფერული ნალექის რაოდენობაზე, ძირითადად ზაფხულში თვეში ერთხელ ან ორჯერ სჭირდება.

დარგვიდან მეორე წელს საჭიროა მცენარის გასხვლა და მისი სიმაღლის რეგულირება. მოსავლის მოცემას ზეთისხილი იწყება დარგვიდან მეხუთე წელს.

ზეთისხილი — ზეთისხილისებრთა ოჯახის წარმომადგენელი, მარადმწვანე 3-7 (12) მ სიმაღლის ხე ან მაღალი ბუჩქია განიერი გადაშლილი ვარჯით და დაბრეცილი ღერო-ტოტებით.

ყლორტებზე ერთიმეორის მოპირისპირედ განლაგებული მოკლეყუნწიანი ტყავისებრი, ლანცეტა ან ოდნავ წაგრძელებული ფოთლები ზემოდან მწვანეა მეჩხერი ქერცლებით, ქვემოდან კი ვერცხლისფერ-მონაცრისფერო, კიდეები ქვემოთაა დახრილი.

ყვავილები 15-30 შეკრებილია ფოთლების იღლიებში განლაგებულ მტევნებად. ზარისებრი, აპკივით თხელი ოთხკბილიანი ჟამი ნაყოფებზეა შერჩენილი. ყვავილის გვირგვინი მოთეთრო ფერისაა ორი მტვრის პარკითა და ოთხი ფრთით.

სქელგარსიანი, ცვილისებრნაფიფქიანი, მოშაო ნაყოფის კურკა ოვალური ან მომრგვალოა. ნაყოფი მდიდარია მაღალხარისხოვანი საჭმელი ზეთით. იგი ფრიად სიმშრალის ამტანი მცენარე, სითბოს და სინათლის მომთხოვნია.

საქართველოში გაველურებული სახით გაგრის ტყეებში გვხვდება. ბაღები გავრცელებულია ზღვის დონიდან 450 მ სიმაღლემდე. მისი ნაირგვარი ჯიშები არსებობს, ამიტომ მათი ნაყოფებისგან დამზადებული, ე.წ. ზეითუნის ზეთი სხვადასხვა სახისაა. ზოგი ჯიში გამოიყენება საჭმელი ნაყოფის დასამზადებლად, ზოგიც ზეთის გამოსახდელად.

მრავლდება ძირითადად თესლით, რომელსაც დათესვამდე რამდენიმე ხნით ნაცარტუტაში (ნაცარწმენდილში) ათავსებენ გაღივების სტიმულირების მიზნით. კარგად ფესვიანდება გამერქნებული კალმები, ადვილად ხარობს დაყოფითაც.

ზეთისხილის კულტურა საქართველოში გაშენებულია აფხაზეთში, სამეგრელოში, აჭარასა და კახეთში. ცოცხლობს საკმაოდ დიდხანს (200-300 წელი) მაგრამ ნელმზარდია. საჭმელად მოუმწიფებელ ნაყოფებს აგროვებენ და აწნილებენ.

ზეთის გამოხდას ზეთისხილის მომწიფებული ნაყოფებიდან აწარმოებენ. ზეთი სხვადასხვა ხარისხისა და თვისებების გამო სხვადასხვა დასახელებებითაა ცნობილი: ზეითუნის ზეთი, ხის ზეთი, პროვანსული ზეთი.

ზეთისხილის ნაყოფი მდიდარია ცხიმებით, ცილებით და სხვა სასარგებლო ნივთიერებებით, ხოლო ზეითუნის ზეთი მართლაც რომ შეუცვლელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის: ის მდიდარია E, ვიტამინებით და მინერალური მარილებით — კალიუმით, კალციუმით, მაგნიუმით. მას ფართოდ იყენებენ გულის, კანისა და სახსრების დაავადებათა სამკურნალოდ. სპეციალისტების აზრით, ყველაზე ძვირფასი ზეთისხილის მოკრეფიდან ორი საათის განმავლობაში დაწურული ზეთია: სასარგებლოცაა, სამკურნალოც და ქოლესტერინს საერთოდ არ შეიცავს. ცნობილია ისიც, რომ ზეთისხილის მასობრივი მოხმარების რეგიონებში მოსახლეობა ნაკლებად ავადდება .

**ია გიგიაშვილი**

# არყის მარინადში შენახული ბოსტნეულის ასორტი ზამთრისთვის

ზამთრისთვის ასე ჩადებული ბოსტნეული დაგიზოგავთ დროსა და ძალებს, შედეგად კი ცოცხლად შენახულ, ვიტამინებით სავსე პროდუქტებს მიიღებთ.

ინგრედიენტები:

- არაყი 50 მლ
- ძმარი 9% 50 მლ
- ნიორი 4-5 კბილი
- მიხაკი 4 მარცვალი
- შავი პილპილის მარცვლები
- პირშუშხას ფოთოლი 2 ცალი
- კამა 1 კონა
- ქინძის თესლი 1 ჩ/კ
- შაქარი 2 ს/კ
- მარილი 2 ს/კ
- ტაბულა

მომზადების წესი:

გარეცხილი და ღუმელში (ან მიკროტალღურში) გატარებული ქილებში ჩაალაგეთ გარეცხილი და გამშრალებული ბოსტნეული ფენაფენა. წინასწარ ქილის ფსკერზე მოათავსეთ სანელებლების ნახევარი, 3-4 ნაწილად დაჭრილი ნიორი. ბოსტნეულის თავზეც მოათავსეთ დარჩენილი სანელებლები. დაასხით ქილას ადუღებული წყალი, დააფარეთ გასტერილებული ხუფები და გააჩერეთ 10 წუთი. შემდეგ გადმოასხით ადუღებული წყალი ქვაბში და ჩაუმატეთ წყალში შაქარი და მარილი, დადგით ცეცხლზე, მოურიეთ და მიიყვანეთ ადუღებამდე. დაუმატეთ არაყი და ძმარი და კვლავ მიიყვანეთ ადუღებამდე. შემდეგ დაასხით ქილებში მოთავსებულ ბოსტნეულს ეს მარინადი და მოხუფეთ ქილები. დააპირქვავეთ ქილები თავით დაბლა და ერთი დღით შეფუთეთ ადიალით. შემდეგ შეინახეთ ნებისმიერ ადგილას.



# ყვარლის მუნიციპალიტეტი პრივატიზების მიზნით აცხადებს აუქციონს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე

6/10/2016 kancelaria.cloud.gov.ge//nomfileserver/GetFile?file_id=07103328739519048220&obj_name=A&SessValue=EBYckuAE1RAgD7l0Xa2Dag8Z0lIObMjP...

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA990138894812216

№ 340 09 / ივნისი / 2016 წ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ

1. გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი №1).

2. დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს მალხაზ ხიზანიშვილს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

3. აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 მაისის №330 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის ,,საპრივატიზაციო და სააუქციონო" კომისიამ.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24).

საფუძველი: ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება; ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 თებერვლის №4 დადგენილება „ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტი.

6/10/2016 kancelaria.cloud.gov.ge//nomfileserver/GetFile?file_id=07103328739519048220&obj_name=A&SessValue=EBYckuAE1RAgD7l0Xa2Dag8Z0lIObMjP...

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი ილია მზექალაშვილი

**აუქციონშიგამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:**

მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

**2. სააუქციონო პირობები:**

1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;

ბ) „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);

გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300563390; 300563313.

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. მონაწილეს უფლება აქვს „ბე" —ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.

4. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე" არ დაუბრუნდება.

6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლების კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასსზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება;

7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადაიხადოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საფასური, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

8. გარიგებათა გაფორმების წესი და მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილებისა და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 თებერვლის 4 დადგენილების „ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად.

9. აუქციონი ტარდება 2016 წლის 13 ივლისს 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2016 წლის 14 ივნისიდან 13 ივლისის ჩათვლით 12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1.

10. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტების და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1-ში მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი 599 855 993; 595 903 322; ყვარლის მუნიციპალიტეტი.

| ლოტის № | ქონების დასახელება და მისამართი | არასასოფლომიწის ფართობი (კვ.მ.) | შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ.) | საკადასტრო კოდი | საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" (ლარი) | ბიჯი (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ქ. ყვარელი, (სათბურებთან) | 3088 | 29 | 57.06.52.234 | 11590 | 2318 | 580 | 50 |
| 2. | ქ. ყვარელი, (სათბურებთან) | 818 | 18 | 57.06.52.235 | 3088 | 618 | 155 | 50 |
| 3. | ქ. ყვარელი, ი.ჭავჭავაძის ქ. 69-ში მდებარე ყოფილი სავაჭრო ცენტრი | 2998 | 1) 3445; 2) 429; 3) 30; | 57.06.56.133 | 400000 | 80000 | 20000 | 50 |
| 4. | ს. ენისლის უნივერმაღის მე-2 სართული | წილობრივად | 208,1 | 57.08.54.008.01.500 | 3203 | 641 | 160 | 50 |
| 5. | ქ. ყვარელი, სააკაძის ქ. 2-ში მდებარე ყოფ. რედაქციის II-ე სართული | წილობრივად | 468.4 | 57.06.59.080.01.501 | 22588 | 4518 | 1130 | 50 |
| 6. | ქ.ყვარელი (ბურსის მიმდებარე) | 735 | - | 57.06.68.649 | 4410 | 882 | 221 | 50 |
| 7. | ქ.ყვარელი (ბურსის მიმდებარე) | 670 | | 57.06.68.653 | 4020 | 804 | 201 | 50 |
| 8. | ქ.ყვარელი (ბურსის მიმდებარე) | 775 | | 57.06.68.652 | 4650 | 930 | 233 | 50 |
| 9. | ქ.ყვარელი (ბურსის მიმდებარე) | 774 | | 57.06.68.651 | 4644 | 929 | 232 | 50 |
| 10. | ქ.ყვარელი (ბურსის მიმდებარე) | 774 | | 57.06.68.650 | 4644 | 929 | 232 | 50 |
| 11. | ქ.ყვარელი (ბურსის მიმდებარე) | 711 | - | 57.06.68.648 | 4266 | 853 | 213 | 50 |
| 12. | ქ.ყვარელი (ბურსის მიმდებარე) | 665 | - | 57.06.68.647 | 3990 | 798 | 200 | 50 |
| 13. | ქ.ყვარელი (ბურსის მიმდებარე) | 620 | | 57.06.68.646 | 3720 | 744 | 186 | 50 |
| 14. | ქ.ყვარელი (ბურსის მიმდებარე) | 575 | | 57.06.68.645 | 3450 | 690 | 173 | 50 |
| 15. | ქ.ყვარელი (ბურსის მიმდებარე) | 655 | | 57.06.68.644 | 3930 | 786 | 197 | 50 |
| 16. | ქ.ყვარელი (ბურსის მიმდებარე) | 881 | - | 57.06.68.642 | 5286 | 1057 | 264 | 50 |
| 17. | ქ.ყვარელი (ბურსის მიმდებარე) | 693 | | 57.06.68.643 | 4158 | 832 | 208 | 50 |
| 18. | ქ.ყვარელი (ბურსის მიმდებარე) | 826 | | 57.06.68.641 | 4956 | 991 | 248 | 50 |
| 19. | ქ.ყვარელი (ბურსის მიმდებარე) | 705 | | 57.06.68.640 | 4230 | 846 | 212 | 50 |

# გარდაცვლილის პიროვნება ცხოვრებას აგრძელებს, ის მხოლოდ არსებობის სხვა ფორმაში გადადის...
## (ჭეჟია) ბერი ერმოლაოსის წერილი დედას



შენს სანუგეშოდ ერთ-ერთი ყველაზე მადლიანი წმინდანის თეოფანე დაყუდებულის სამი პატარა წერილი ვთარგმნე შენთვის. პირველი წერილი მან თავის მომაკვდავ დას მისწერა: „მშიდობით დაო! ღმერთმა აკურთხოს შენი გარდაცვალება და შენი გზა ზეცისაკენ. შენ ხომ მაინც ცოცხალი დარჩები, მხოლოდ სნეული მოკვდება, შენ კი სხვა სამყაროში გადახვალ, ისეთივე ცოცხალი როგორც ახლა ხარ, შენი ცნობიერებით აღჭურვილი და გარემომცველი სამყაროს რეალურად აღმქმელი. იქ შენ ჩვენი მშობლები და დაძმები შეგხვდებიან, ჩემგან დიდი მოწიწება გადაეცი მათ და სთხოვე გააგრძელონ ჩვენზე ზრუნვა ... იქ შენ უკეთესად იგრძნობ თავს, ვიდრე აქ, ამიტომ სიკვდილის მოლოდინში ნუ შეძრწუნდები; შენი მფარველი ანგელოზი აიტაცებს შენს სულს და იმ გზებით გატარებს, რომელიც ღმერთმა შენთვის განსაზღვრა. და თუ ცოდვებზე ფიქრები გაწუხებენ, მოინანიე ისინი და მთელი გულით და მტკიცედ გწამდეს, რომ უფალი-მაცხოვარი მონანიე ცოდვილთა ყველა ცოდვას აქარვებს. შენიც განქარდება-როგორც კი მოინანიებ. ეს რწმენა მტკიცედ გქონდეს გულში და ნუ განეშორები მას. ღმერთმა გაჩუქოს მშვიდობიანი გარდაცვალება! თვალის დახამხამება და მეც მოგეწევი, ამიტომ ჩვენზე, აქ დარჩენილებზე არ იდარდო, მშვიდობით, უფალი შენთან!“

მეორე წერილი მან თავისი მომაკვდავი დის ქმარს მისწერა: „მოიკრიბეთ ძალები და გამაგრდით, ჩემი და თავად ხომ არ კვდება, მხოლოდ მისი სხეული კვდება; გარდაცვლილის პიროვნება ცხოვრებას აგრძელებს. ის მხოლოდ არსებობის სხვა ფორმაში გადადის... მკვდარ სხეულში ის არ იქნება და არც სამარეში დაფლავენ მას. ის სხვა ადგილას იქნება, ისევე ცოცხალი, როგორც ახლა და სანამ ზეცაში ავა, პირველი დღეები, ისევ თქვენს გვერდით იქნება, მხოლოდ მისი დანახვა იქნება შეუძლებელი და ვერც დაელაპარაკებით მას, მაგრამ ის აქ იქნება ირწმუნეთ ეს! ჩვენ, დარჩენილები, გარდაცვლილებზე ვტირით, ისინი კი იმწამსვე თავისუფლდებიან მიწიერი ტვირთისაგან და მათი მდგომარეობა სანატრელია.

იყო შემთხვევები, როცა გარდაცვლილ სულებს ისევ სხეულში აბრუნებდნენ და ამის გამო ისინი თავს ძალიან ცუდად გრძნობდნენ. ჩემი დის სულიც ბედნიერი იქნება, როცა მიწიერი ბორკილებისგან განთავისუფლდება, მისთვის ეს უკეთესი მდგომარეობა იქნება, ჩვენ კი თუ ვიგლოვებთ ისე თითქოს მას უბედურება ელოდება, ის ნამდვილად გაოცდება ჩვენი შემხედვარე. მე ყოველთვის იმ აზრს ვიზიარებდი, რომ ადამიანის გარდაცვალების გამო სამგლოვიარო კი არა საზეიმო სამოსით უნდა შევიმოსოთ. რა თქმა უნდა, გარდაცვლილის ნეშტს შესაფერისი პატივი უნდა მივაგოთ, რაც სამართლიანია, მაგრამ რატომ ეპყრობოდნენ მკვდარ სხეულს როგორც ცოცხალ არსებას ჩემთვის გაუგებარია.

ღვთისთვის არავინაა მკვდარი, მისთვის ყველა ცოცხალია. ჩვენ კი ვუმზერთ უსულო, გალურჯებულ და გაქვავებულ სხეულს და სრულიად მცდარი წარმოსახვებით ვიკლავთ გულს, ამას ემატება ტრადიციული აზრები, ცივი სამარე... უბედურება.. მწუხარება! საწყალი, უიღბლო ჩვენი მკვდარი! სინამდვილეში კი ის ნათელ ადგილას არის, სრული სიხარულის მდგომარეობაში იმყოფება და ყველა ბორკილებისაგან თავისუფალია; ჩვენ დაახლოებითაც კი არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თუ რა კარგად გრძნობს ის თავს! და ის ისეთივე ცოცხალი პიროვნებაა, როგორიც იყო გუშინ, გარდაცვალების წინ; მხოლოდ თუ აქამდე იტანჯებოდა, ახლა თავისუფალია ყოველგვარი ტვირთისგან. გარდაცვლილთა სულები ისევე სწრაფად მოძრაობენ, როგორც ჩვენი აზრები და ისინი ჩვენთის გაცილებით უფრო ახლობელნი ხდებიან, ვიდრე აქ ამ მიწაზე იყვნენ, ვინაიდან აქ ჩვენ ადამიანები ერთმანეთისგან სივრცით ვართ დაშორებულნი, ხოლო უხილავი ყოფიერება ყოველგვარი განშორებისგან თავისუფალია. საკმარისია გაიფიქრო გარდაცვლილზე (მხოლოდ გულისმიერი, ხალასი მოგონებით) და ის უკვე აქ შენთან არის.

გარდაცვლილებს პირველ ხანებში ჩვენი დახმარება სჭირდებათ, მათ საზვერეები უნდა გაიარონ და ამიტომ ჩვენ, დარჩენილებს გვიხმობენ საშველად, აი რას უნდა მივაპყროთ ჩვენ მთელი ჩვენი ყურადღება და ამით მათდამი სიყვარული გამოვავლინოთ. მე ვფიქრობ გარდაცვლილისადმი ჩვენი სიყვარულის წუთიდან მისთვის ლოცვაში ჩავიძირებით და ღმერთს მის შეწყალებას და დახმარებას გამოვთხოვთ, განსაკუთრებით პირველი ექვსი კვირის განმავლობაში და მერეც. თეოდორაზე არსებულ გადმოცემაში ნათლად ჩანს, რომ ანაგელოზები ბოროტ სულებს ბაჟს უხდიდნენ იმ ქისიდან, რომელიც თეოდორას სულიერი მოძღვრის ლოცვებით იყო სავსე. ასევე სასარგებლო იქნება ჩვენი ლოცვა ჩვენი გარდაცვალებისთვის. ნუ დაგავიწყდებათ მათთვის ლოცვა — აი თქვენი სიყვარული! ჩემი დის გარდაცვალება მეც დროულად მაცნობეთ, რომ მეც ვილოცო მისთვის. ზედმეტი გლოვა კი არაფერ შედეგს არ მოგვიტანს.

**ჟურნალი „კარიბჭე“**

# როგორ უნდა მოუაროს მამაკაცმა გარეგნობას

ადრე მამაკაცის კანის მოვლის საშუალებებად მხოლოდ საპონი და გაპარსვამდე თუ გაპარსვის შემდეგ სახმარი კრემი მიიჩნეოდა. უკანასკნელ ხანს მამაკაცის კანის მოვლის საშუალებების მთელი ინდუსტრია შეიქმნა. ახლა მათ შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც ზემოთ ნახსენები პარსვისთვის განკუთვნილი კრემები და ქაფები, ასევე სხვადასხვა დამცავი პრეპარატი, სხეულის ცალკეული უბნის მოვლის საშუალებები, სპეციალური ლაქი ფრჩხილებისთვის, ბალზამი ტუჩებისთვის და სხვა.

ზოგადად, მამაკაცის კანი მნიშვნელოვნად განსხვავდება ქალის კანისგან. ის უფრო მკვრივი და ელასტიკურია, უფრო მეტი ცხიმოვანი ჯირკვალი და თმის ფოლიკული აქვს. ის მეტად მგრძნობიარეა, რაც ხშირი პარსვით არის განპირობებული. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მამაკაცისა და ქალის კანის მოვლის წესები არსებითად უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან და, შესაბამისად, მოვლის საშუალებებიც სხვადასხვანაირი უნდა იყოს. მამაკაცის სახის ყოველდღიური მოვლის ყველაზე მარტივი საშუალება უბრალო დაბანაა. მამაკაცების უმრავლესობა ამ მხრივ კანს უვლის, მაგრამ როგორ? თავისთავად ცხადია, საპნითა და წყლით, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია, როგორი ტიპის კანი აქვს მამაკაცს.

**მაგალითად:**

- ნორმალური კანი უნდა დაიბანოთ ჩვეულებრივი წყლით, დილას და საღამოს;
- ცხიმიანი კანი სასურველია დაიბანოთ ცივი წყლით, ასევე დღეში ორჯერ;
- მშრალი კანი უნდა დაიბანოთ მხოლოდ ცივი წყლით და მხოლოდ დილაობით.

დღეს ბაზარზე უამრავი დასაბანი საშუალებაა წარმოდგენილი: საპნის კრემი, დასაბანი ქაფი, დასაბანი გელი. თითოეულ მათგანს აქვს როგორც ღირსება, ასევე ნაკლიც, მაგრამ ყველაზე უვნებელი დასაბანი გელია.

გაითვალისწინეთ, რომ დასაბანი საშუალების არჩევისას თქვენი კანის ტიპით უნდა იხელმძღვანელოთ. სულ უფრო პოპულარული ხდება სახის სხვადასხვა კრემი: დამატენიანებელი, მკვებავი, აღმდგენი, თვალის ირგვლივ გამოსაყენებელი. ყოველ მათგანს სხვადასხვა თვისებები ახასიათებს. მაგალითად: დამატენიანებელი კრემი აღადგენს კანში სითხის ბალანსს, მკვებავი კანს ვიტამინებით ავსებს, აღმდგენი ასევე კვებავს და აახალგაზრდავებს კანს, ხოლო თვალის ირგვლივ გამოსაყენებელი კრემი, უსიტყვოდაც ნათელია, რისთვის და როგორ უნდა გამოიყენოთ.



აუცილებლად უნდა დავუთმოთ ყურადღება შხაპისთვის განკუთვნილ სხვადასხვა გელს. ისიც კანის სხვადასხვა ტიპს შეესაბამება. თითოეულ გელს განსხვავებული ფუნქცია აქვს. ალბათ ყველა მამაკაცს აქვს დეზოდორანტი. ადრე იგი, უბრალოდ, უსიამოვნო სუნისგან თავდაცვის საშუალება იყო. ახლა მის შემადგენლობაში შედის სპეციალური ნივთიერებები, რომლებიც კანის მოვლის ფუნქციასაც ასრულებს. ერთმანეთისთვის უცნობი ადამიანები პირველ რიგში გარეგნულ სახეს აქცევენ ყურადღებას. გოგონებიც ლამაზ, მოვლილ მამაკაცებზე აკეთებენ აქცენტს.

# რაშია გაღივებული კაკლის უნიკალურობის საიდუმლო?



ყველამ იცის, რომ გაღივებული ხორბალი სასარგებლო პროდუქტია, მაგრამ იცით, რომ გაღივებული კაკალი მილიონჯერ სასარგებლოა? 2 კვირით გაღივებული კაკლის სიცოცხლის ძალა 1000-ჯერ იზრდება.

**ნიგოზი კვებითი ღირებულებით უსწრებს:**

- ხორბლის პურს სამჯერ;
- კარტოფილს — 7-ჯერ;
- ვაშლს 12-ჯერ;
- ძროხის რძეს — 10-ჯერ.

ცხიმების დღიური ნორმის შესავსებად საკმარისია, დღეში ორი ათეული კაკალი მიირთვათ. სასარგებლოა ნიგვზის ზეთი, მასში შემავალი ნივთიერებები აუმჯობესებს წნევას, ხელს უშლის ათეროსკლეროზის გამოვლენას.

უმწიფარი კაკალი C ვიტამინითაა მდიდარი. შედარებისთვის გეტყვით, რომ ციტრუსებსა და მოცხარსაც სჯობნის.

ნიგოზი მოგიხსნით დაღლილობას, აღგიდგენთ ძალას, მოგანიჭებთ სიმხნევეს.

**ჩვენი რეცეპტი დაგეხმარებათ გაიახალგაზრდავოთ ორგანიზმი:**

- უჯრედის დონეზე;
- აღიდგინოთ იმუნიტეტი და ნერვული სისტემა;
- გაისუფთაოთ სისხლი;
- ორგანიზმიდან გამოდევნოთ წიდები;
- საუკეთესო საკვებია ძვლებისთვის.

1 კილო კაკალს დაასხით ცივი წყალი, ისე, რომ დაფაროს. გააჩერეთ 2 კვირა. წყალი დღეგამოშვებით ცვალეთ. ამავე დროს, ამოურიეთ ხოლმე კაკლებს.

2 კვირის შემდეგ კაკალი მზადაა. შეინახეთ მაცივარში, თავისსავე წყალში. მიიღეთ 3 გარჩეული კაკალი დილა-საღამოს.

სიფრთხილე გმართებთ კუჭქვეშა ჯირკვლის დარღვევის შემთხვევაში.



# რა დრო გასულა...



ძნელია ილაპარაკო წარსულში იმ ადამიანზე, რომელიც ოდესღაც შენთვის ყველაზე ძვირფასი იყო. ყოველთვის ასეა, ადამიანის იმ ქვეყნად წასვლის შემდეგ უფრო მეტს ვლაპარაკობთ და მეტს ვსაუბრობთ მის ღირსეულ თვისებებზე. 30 წელი გავიდა უკვე ყველასათვის ნაცნობის მარინე შავგულიძის გარდაცვალებიდან. რა დრო გასულა... თითქოს გუშინდელივით მახსოვს ის 13 ივნისის ავადსახსენებელი ტრაგედია, რომელიც აწ გარდაცვლილების ვახტანგ და თინა შავგულიძეების ოჯახში დატრიალდა. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მარინემ მუშაობა თბილისის ონკოლოგიურ ცენტრში დაიწყო. მისვლისთანავე ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში ჩადგა, — მძიმედ დაავადებულთა გადასარჩენად ყველაფერს ღონობდა, — სიკვდილისთვის განწირულებისთვის ცდილობდა რამდენიმე წლით სიცოცხლის გახანგრძლივებას. განსაკუთრებით კი ყვარლელებისთვის არაფერს იშურებდა და დღესაც მათი შთამომავლები კეთილად იხსენებენ მარინე შავგულიძეს. მძიმე დაღი დაასვი სიცოცხლეში დედას, რომელმაც შენი წასვლის შემდეგ სულ რამდენიმე წელი იცხოვრა, — რკინასავით ძლიერმა ქალბატონმა ვერ დაჯაბნა შენით გამოწვეული მწუხარება და შენსავით სამუდამო სავალ ბილიკს დაადგა, შენს ერთადერთ ძმას ბესიკს, რომელიც ასევე უდროოდ გამოაკლდა თავის ოჯახს, მეგობრებს და სანათესაოს. ალბათ სიცოცხლეს ეშურებოდი, ყოველთვის რაღაცას ჩქარობდი, თბილისიდან ჩამოსული ყველა მეზობლებს ჩამოუვლიდი, იმ წუთში ჩამოსული ტელეფონზე დამირეკავდი, მეტყოდი „შენა, რა არი ახალი? ყველაფერი ახალი ჩემგან გინდოდა გაგეგო. იმ დღისითაც, ტრაგედიის დღეს შენი მანქანით შენს ძმისშვილთან მოიჩქაროდი, შენს მოსახელე მარიკუნასთან გინდოდა დაძინებამდე მოგესწრო, მაგრამ, ... ყველაფერი ცუდად დამთავრდა. როგორ გიხაროდა შენი პირველი ძმისშვილის იას დაბადება, რომელსაც „პილიონკებში“ შეკრულს ქუჩაში ხელიხელ აგოგმანებდი, მაგრამ ჩემო მარინე, შენთვის და ჩვენთვისაც უკვე ყველაფერი წარსულს ჩაბარდა და ახლა მხოლოდ მოგონებებითღა ვიფარგლებით. მართალია უკვე დიდი დრო გავიდა, მაგრამ შენ ყველას გულში, განსაკუთრებით კი იგივე შენი ოჯახის წევრების, შენთვის ყველაზე ძვირფასი ახლობლების, გოჩა, გია და ალიკა შავგულიძეების, განსაკუთრებით კი შენი ძმისშვილების გულში ყოველთვის სამარადისოდ დარჩები. მხოლოდ ერთი დარდი, ერთი ადამიანის სიყვარული წაიღე იმ ქვეყნად, რომელიც მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცოდით. ნათელი დაუმკვიდროს უფალმა შენს სამუდამო სასუფეველს.

**დალი ტატულიშვილი**

## ნანა გოგინაშვილის გახსენება
# ტკივილიანი დაბადების დღე



ნანა, ჩვენგან ნაადრევად წასულო ტკივილო და მოუშუშებელო ჭრილობავ, 22 ივნისი შენი დაბადების დღეა,47 წლის უნდა გამხდარიყავი. მოვალთ შენს საფლავთან, მოვეფერებით შენს ლამაზ სულს, ცრემლებით გაგითბობთ გულს, რომელიც ყოველთვის სიყვარულისა და სიკეთის მატარებელი იყო. დაგინთებთ წმინდა სანთელს და შევევედრებით უფალს დაგიმკვიდროს მარადიული სასუფეველი.

შენ შესანიშნავი მეუღლე და დედა იყავი, ყველას გასაჭირი გულთან მიგქონდა და ბოლომდე იხარჯებოდი. ილოცე ნანა, შენი ერთადერთი შვილისთვის, რომელიც დედის სითბოს გარეშე დატოვე.

**გურამ ღვინიაშვილის ოჯახი**

## ნანა გოგინაშვილის გახსენება
# ჩვენ ლამაზი მეგობარი გვყავდა...

ძნელია ილაპარაკო წარსულში შენზე — ჩვენო ნანა. მუდამ მოწესრიგებული, საქმიანი, ბეჯითი, მუდამ წიგნებში მაყურებელი. ამიტომაც მიაღწიე დაუღალავი შრომით ასეთ წარმატებებს.

წარსულში დაგვრჩა ის ბედნიერი მოგონებები. ორი წლის უკან ყვარელში რომ ჩამოხვედი და შეგვკრიბე მეგობრები. გავიხსენეთ მშობლიურ სკოლაში გატარებული ბავშვობის უდარდელი წლები, ჩვენი კლასელები... აქაურ ცხოვრებას გარიდებულები, სხვა ქვეყანაში „ბედნიერად“ მცხოვრები ჩვენი ეთერი, ნუცა მასწავლებელი...

შეგვპირდი მომავალ ზაფხულს კვლავ შეხვედრას, ბუნებაში გასვლას და იქ „ერთი პატარა წამის“ კვლავ ბედნიერად გატარებას... მაგრამ ავადმყოფობამ ჩვენთვის ველარ მოგაცლევინა.

მუდამ გულჩათხრობილს, ჩვენს მოყვარულს არ გინდოდა ისედაც პრობლემებით სავსე მეგობრებისათვის შენი ავადმყოფობის შემოხვევა, ამიტომ მეხის გავარდნას ნიშნავდა ჩვენთვის შენი „მოულოდნელი“ სიკვდილის გაგონება, ალბათ არ გინდოდა გვენახე ავადმყოფობისაგან შეწუხებული და სახე შეცვლილი. გინდოდა ისეთი დაგვმახსოვრებოდი როგორიც გნახეთ ბოლოს — 2 წლის ლაღი, მხიარული და უდარდელი...

დადის შენი ზაზა — ცალუღელად, შენი გიორგი დასევდიანებული. მას დედა და დედის მხარში დგომა უფრო მეტად ეხლა სჭირდება.

— ჩვენ კი, შენს მეგობრებს ისღა დაგვჩენია მოვიდეთ შენს საფლავზე, აგინთოთ სანთელი, ვილოცოთ შენი სპეტაკი სულისათვის და ვთქვათ: „რომ ჩვენ ლამაზი მეგობარი გვყავდა! ის ნანა გოგინაშვილი იყო...

ჩვენი უსაყვარლესი მეგობარი ნანა 22 ივნისს 50 წლის გახდებოდა!

**ყვარლის პირველი საშუალო სკოლის 1984 წლის მე-10 ბ კლასის კურსდამთავრებულები**

**ყვარლის ყოფილი მეოთხე საშუალო სკოლის მასწავლებლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ლილი თიანელაშვილი და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს და ახლობლებს.**

# ლევან ებანოიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი



1-2 ივნისს ქ. ბაღდათში ჩატარდა ევროპის ჩემპიონის ლევან ებანოიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 1999-2000 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ტურნირში მონაწილეობას იღებდნენ ვლადიკავკაზის, სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა გუნდები. ამ ტურნირში დიდ წარმატებას მიაღწიეს და ოქროს მედლები მოიპოვეს ფათა მაგამედოვმა, — 26 კგ. წონითი კატეგორია, თივის საჯარო სკოლა, (მწვრთნელი ვანო ჭანტურიძე) და ყვარლელმა დათო ქაქალაშვილმა, — 42 კგ. წონითი კატეგორია, (მწვრთნელი გივი მეტრეველი). ოქროს მედლები მოიპოვეს ასევე 54 კგ. წონით კატეგორიაში მიხეილ ბერძენიშვილმა და 58 კგ. წონით კატეგორიაში ნიკოლოზ ტურაშვილმა და გახდნენ ტურნირის ჩემპიონები, — შილდის პირველი და მეორე საჯარო სკოლები (მწვრთნელი მალხაზ როზომაშვილი). ტურნირში მეორე ადგილზე გავიდა და ვერცხლის მედალი მოიპოვა ყვარლის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლემ გიორგი დოლმაზაშვილმა, — 58 კგ. წონითი კატეგორია, ხოლო მესამე ადგილზე გავიდა და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა ყვარლელი დათო მამანიშვილი, — 46 კგ. წონითი კატეგორია. ასევე წარმატებით იასპარეზეს და ბრინჯაოს მედალს დასჯერდნენ შილდელი მოჭიდავეები, — თორნიკე ასაბაშვილი, — 50 კგ. წონითი კატეგორია და ნიკოლოზ ბუშელაშვილი, — 63 კგ. წონითი კატეგორია (მწვრთნელები გივი მეტრეველი, მალხაზ როზომაშვილი და ვანო ჭანტურიძე). უნდა აღინიშნოს, რომ 29 კგ. წონით კატეგორიაში კვლავ წარმატებით იასპარეზა და მესამე ადგილი დაისაკუთრა ყვარლელმა დათო ჭუნაშვილმა.

ჭიდაობის მოყვარულთ შევახსენებთ, რომ მომავალი საერთაშორისო ტურნირი ჩატარდება ქ. ბათუმში, 10-12 ივლისს, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი რაიონის წარმატებული მოჭიდავეები. იმედია, ისინი კვლავ გამარჯვებულები დაგვიბრუნდებიან და გაახარებენ ყვარლელ გულშემატკივრებს.

**დალი ტატულიშვილი**

# კიდევ ერთი რეფორმა წინასაარჩევნოდ — მიწის რეგისტრაცია მარტივდება და უფასო ხდება



არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში პარლამენტი კანონებს დაჩქარებული წესით იხილავს. მათ შორის ერთ-ერთია მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივები, რომელიც მესამე მოსმენით უკვე დამტკიცებულია.ცვლილებების თანახმად, ქვეყანაში მიწის რეგისტრაცია მარტივდება და უფასო ხდება.

წინასაარჩევნოდ მიწის უფასო რეგისტრაცია, ქართულ ხელისუფლებაში გავრცელებული პრაქტიკაა. სხვადასხვა დონის არჩევნების დროს,ყოფილი ხელისუფლების პრობებშიც, იუსტიციის სამინისტრო ხშირად აცხადებდა ხოლმე აქციებს, რომლის საშუალებითაც მოქლაქეებს ქონების თუ მიწის რეგისტრაციას უმარტივებდა და მომსახურებას უფასოდ უწევდა.

როგორც ჩანს პრაქტიკა გრძელდება, თუმცა უფასო რეგისტრაციის გარდა, ახლა უკვე სახელმწიფო მოქალქეებს რამდენიმე სხვა სიახლესაც სთავაზობს.

მთავრობაში განმარტავენ, რომ სპეციალური პროექტისა და შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტის მომზადების მიზეზი მიწის რეგისტრაციის კუთხით არსებული პრობლემები გახდა, კონკრეტულად კი ის ფაქტი, რომ დღეისათვის ქვეყანაში არსებული მიწის ნაკვეთების მხოლოდ 25%-ია რეგისტრირებული.

„მიწის რეგისტრაციისთვის ბარიერები იხსნება. საჯარო რეესტრი იძენს ახალ უფლებამოსილებას, რომ მოქალაქის ნაცვლად მოიძიოს ყველა უფლება დამდგენი დოკუმენტი, რომ აზომველები დაექვემდებარონ, ვისაც სურვილი აქვს სერტიფიცირებას და თუ კი სერტიფიცირებული აზომველი აგიზომავთ მიწას, მაშინ აზომვა იქნება უფასო“ — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ზუგდიდის იუსტიციის სახლში, სადაც კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებები სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს პირადად გააცნო.

რას გულისხმობს მიწის რეფრომის შესახებ კანონპროექტი და კონკრეტულად რა შეღავათები დაუწესდებათ მესაკუთრეებს, ამის გარკვევას „პოლიტკომერსანტი“ შეეცადა.

კანონპროექტის თანახმად, ქვეყანაში შემუშავდება მიწის რეგისტრაციისთვის აუცილებელი საამზომველო ნახაზის ერთიანი სტანდარტი, პროექტში ჩართული ამზომველები კი სერტიფიკაციას გაივლიან.

„დღესდღეობით აზომვით ნახაზში არსებული უზუსტობა ხშირად ხდება მიწის რეგისტრაციის ხელისშემშლელი ფაქტორი. ე. წ. გადაფარვების არსებობის გამო უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საჯარო რეესტრს 56 000-მდე სარეგისტრაციო საქმის შეჩერება მოუხდა, პრობლემის მოგვარება კი დღეს მხოლოდ სასამართლოს გზითაა შესაძლებელი, რაც მოქალაქეების დროისა და რესურსის ხარჯვას ნიშნავს. ამ პრობლემების მიზეზი საამზომველო საქმიანობის სფეროს მოუწესრიგებლობაა — აზომვითი ნახაზების შედგენის უფლება ნებისმიერ პირს აქვს. ხშირად საკადასტრო ნახაზები ოფისიდან გაუსვლელად სრულდება, რაც ცდომილების მიზეზი ხდება, აფერხებს მიწის რეგისტრაციის პროცესს და ლახავს მესაკუთრეთა უფლებებს“, — განმარტავენ იუსტიციის სამინისტროში.

პროექტის ფარგლებში საამზომველო საქმიანობისათვის დადგინდება მომსახურების საფასური. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელს შეეძლება, ადგილზე გადაამოწმოს სარეგისტრაციოდ წარდგენილ საკადასტრო ნახაზზე დატანილი მონაცემების სისწორე. სერტიფიცირებულ ამზომველთა ქსელი ახლო მომავალში შეიქმნება, ხოლო სერტიფიცირება შეეხება იმ ამზომველებს, ვინც პროექტში მიიღებს მონაწილეობას.

იმ შემთხვევში თუ „მიწის რეგისტრაციის შესხებ კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებები ამოქმედდება, სახელმწიფო მოქალაქეს საკუთრების დამადასტურებელი საბუთების მოძიებაში დაეხმარება. დღეს მოქმედი ნორმებით, მოქალაქე მიწის რეგისტრაციისას ვალდებულია, მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგინოს სრული დოკუმენტაცია, რაც მიწაზე მის საკუთრებას დაადასტურებს; დოკუმენტებში ხარვეზების არსებობის შემთხვევებში კი, საჯარო რეესტრი უარს ამბობს ქონების რეგისტრაციაზე. დოკუმენტების ხელახლა შეგროვება და დაფიქსირებული ხარვეზის გამოსწორება მიწის მესაკუთრის ვალდებულებაა — სხვაგვარად მისი საკუთრება ვერ დარეგისტრირდება.მთავრობის მიერ დამტკიცებული ცვლილებების თანახმად კი საჯარო რეესტრი რეგისტრაციის პროცესის თანამონაწილე გახდება. დოკუმენტების, მათ შორის, საარქივო დოკუმენტაციის, მოძიებაში მოქალაქეს საჯარო რეესტრი დაეხმარება. იზრდება იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალიც, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მიწის რეგისტრაცია.

ცვლილებების თანახმად, ქონების რეგისტრაციაზე უარის მიზეზი მხოლოდ დოკუმენტებში არსებული მნიშვნელოვანი შეუსაბამობა გახდება. უმნიშვნელო ხარვეზი — მფლობელის სახელის, გვარის შეუსაბამობა-უზუსტობა ასოებში, არასწორი დაწერილობა და სხვა — აღარ გახდება მიწის რეგისტრაციის ხელისშემშლელი, თუკი პიროვნების სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემები ერთმანეთს შეესაბამება. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებისათვის.

გარდა ამისა, მოხდება ხარვეზიანი დოკუმენტაციის ლეგალიზაცია, გამოყენებულ იქნება ფაქტების კონსტატაცია. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობა მჭიდროდ ითანამშრომლებენ საკუთრების დადგენის ნაწილში, რაც შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებით იქნება მხარდაჭერილი. დაგეგმილი ცვლილებების თანახმად, სიახლე ისიც, რომ სახელმწიფო მესაკუთრეებს დავების მოგვარებაში დაეხმარება. „მიწის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი ცვლილებების შედეგად სახელმწიფო მოქალაქეს დავის მოგვარების სწრაფ და იაფ მეთოდს შესთავაზებს. მედიატორების, მათ შორის, სანოტარო მედიაციის, მეშვეობით სახელმწიფო მოქალაქეებს საკუთრებაზე წარმოქმნილი დავების მარტივად — სასამართლო დავის გარეშე, მოგვარებაში დაეხმარება. დავის შემთხვევაში, მოქალაქეს ექნება არჩევანი — ისარგებლოს მედიაციით, თუ მიმართოს სასამართლოს და იქ დაიცვას საკუთრების უფლება“, — განმარტავენ კანონპროექტის ავტორები. სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოები (დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია, ნოტარიუსის მიერ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერის დამოწმება, მედიაცია, თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, ფაქტების კონსტატაცია) უსასყიდლოდ შესრულდება, მიწის რეგისტრაცია ან ნაკვეთზე საკუთრების უფლებებში ცვლილება საჯარო რეესტრის მომსახურების საფასურის გარეშე განხორციელდება.

**თამთა ვირსალაძე**
politcommersant.ge

# ტიბეტელი ბერების საუკუნო საიდუმლოს ფარდა აეხადა — ჯანმრთელობის ელექსირი ცნობილია



მედიცინა მეცნიერებისა და პრაქტიკული საქმიანობის დარგია, რომელიც მიმართულია ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის, დაავადებების თავიდან აცილებისა და მკურნალობის, სიცოცხლის გახანგრძლივებისაკენ. საუკუნეების განმავლობაში ადამიანთა გამოცდილებით დაგროვდა სამკურნალო საშუალებები და მეთოდები, რომლებიც შემონახულ იქნა, მათ შორის ხალხურ მედიცინაში და რომლებიც მოგვიანებით მეცნიერული მედიცინის ნაწილი გახდა.

კაცობრიობის ისტორია სავსეა და მოიცავს რიგ განვითარებებს. ის, რომ ჯანმრთელობის ფასი არაფერია, ტყუილი გამონათქვამი არ არის დამეთანხმებით. ძალიან კარგად ხვდებით, რომ ფულით იყიდით ბევრ რამეს, თუმცა გარკვეულ წილად ჯანმრთელობას ვერა. ეს უკანასკნელი (თუმცა უპირველესი) ხომ განაპირობებს ჩვენი ბედნიერების და ნორმალური ცხოვრების მსვლელობას. ცხადია, რომ დაავადებათა უმეტესი ნაწილი შეძენილი, თანდაყოლილი და გენეტიკური ფაქტორია, რომელთა წინააღმდეგ დღემდე იბრძვიან ჩვენი სწავლული მეცნიერები და ექიმები. წარსულიდან მოყოლებული დღემდე კი ჩვენი სამედიცინო ისტორია რიგ დაავადებებსა და მათი მკურნალობის მეთოდებს ინახავს. მაშასადამე მედიცინის ისტორია







სავსეა ველური სიუჟეტებით, უცნაური მკურნალობითა და სამედიცინო პროცედურებით, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ტკივილმა და ტანჯვამ. მიუხედავად ექიმების კეთილშობილური და გულწრფელი სურვილისა ჰუმანური გზით განეკურნა ესა თუ ის პაციენტი, სამედიცინო პროცედურები უფრო საშიში აღმოჩნდა, ვიდრე დაავადება. თუმცა, ძველ სამედიცინო ტრაქტატში ე.წ. „ლურჯ ბერილს“ ენიჭება მნიშვნელოვანი როლი, სადაც ძირითად სამკურნალო საშუალებას ბალახები წარმოადგენდა.

ტიბეტელი ბერები, ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ ცნობილი მკურნალები არიან უხსოვარი დროიდან, რომლებიც კურნავდნენ მრავალ დაავადებას საუკუნეების მანძილზე ბალახების მეშვეობით და თაობებიდან-თაობებს გადასცემდნენ მათი მომზადების რეცეპტებს. ძირითად სამკურნალო პროცედურას კი სისხლის გაწმენდა წარმოადგენდა, რომლის დროსაც იწმინდებოდა სისხლი და სრულიად ლიმფა, რაც ხელს უწყობდა პაციენტის ძალიან მალე გამოჯანმრთელებას და ითვლებოდა სხვადასხვა დაავადების პრევენციად.

მრავალი წლის შემდეგ კი დაკარგული იყო მკურნალობის რეცეპტები და მხოლოდ უახლოეს წარსულში გახდა მათი კვლავ მოპოვება შესაძლებელი.

დღევანდელ სტატიაში კი მინდა შემოგთავაზოთ ტიბეტელი ბერების — სამი მეტად ეფექტური, სისხლისა და სისხლ-ძარღვების გამწმენდი რეცეპტი. რა თქმა უნდა, მასში შემავალ თითოეულ პროდუქტს აქვს უკუჩვენება, ამიტომ ორსულებმა და კუჭ-ნაწლავის პრობლემების მქონე პაციენტებმა მხოლოდ ექიმთან კონსულტაციის შემდეგ ჩაიტარეთ მკურნალობის კურსი.

**1. ქრისტესისხლას ნაყენი** — ლიმფურას გამწმენდი. ამ მცენარის სამკურნალო და საკმაოდ ეფექტურ თვისებებზე მხოლოდ ტიბეტელი ბერებისგან როდი ვიცით, ხშირად მოიხმარდნენ ჩვენი წინაპრებიც ხალხურ მედიცინაში. (პირადად მაქვს გამოყენებული და მართლაც სასწაულებრივია) მისი ნაყენი ხელს უწყობს ლიმფური სისტემის ფუნქციის გაუმჯობესებას და წმენდს ჭარბი პათოგენური ბალასტისგან.

მომზადება და გამოყენება: ქრისტესისხლას მცენარე დაჩეჩქვეთ, გამოადინეთ წვენი და 10 წვეთი გააზავეთ 70 მილიგრამ სამედიცინო სპირტთან. ნაყენი ყოველთვის შეინახეთ მაცივარში. დილის საუზმის წინ მიიღეთ 1 წვეთი, სადილის წინ 2 წვეთი, სამხარის წინ 3 წვეთი და ა.შ მომდევნო დღეს მოუმატეთ 1 წვეთი. მაგ: დილის საუზმის წინ 2 წვეთი, სადილის წინ 3 წვეთი, სამხარის წინ 4 წვეთი და ა.შ, როდესაც ახვალთ 15 წვეთამდე ყოველ დღე 1 წვეთის მატებით, შემდეგ — მომდევნო დღეს უკვე შეამცირეთ დოზა 1 წვეთით და ასე ყოველ დღე თითო შემცირებული წვეთით მიიღეთ ანალოგიური პრინციპით.

**2. კოჭას ნაყენი (იმბირი, ჯინჯერი, კოჭა).** კოჭას გააჩნია უნიკალური უნარი ორგანიზმიდან გამოდევნოს ყველა ტოქსინი — ქიმიური, საკვების და რადიაციული, რითიც ასუფთავებს სისხლს. მისი ხშირი მოხმარება ასევე სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, ამარცხებს ჭარბ წონას და აუმჯობესებს თმასა და კანს.

მომზადება და გამოყენება: 10-20 გრამი კოჭას ნედლ ნედლეულს, ან 1 ჩაის კოვზ კოჭას ფხვნილს (რომელსაც მოიპოვებთ) დაასხით ერთი ჭიქა ადუღებული წყალი, გააჩერეთ 10 წუთის განმავლობაში და გემოვნების მიხედვით დაამატეთ 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი და თაფლი. მიღებული 1 ჭიქა ნაყენის ნახევარი დალიეთ დილით უზმოზე, სადილამდე ნახევარი საათით ადრე, ხოლო მეორე ნახევარი ასევე ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, დღის ნებისმიერ მონაკვეთში.

**3. ნიორი** — სიცოცხლის გახანგრძლივების ელექსირი. კარგად მოგეხსენებათ, რომ ნიორი ძალიან ბევრ რამეს კურნავს. მისი სადეზინფექციო და ანტიბაქტერიული თვისებები ყველასთვის ცნობილია. ის ასევე ძალიან სწრაფად აძლიერებს იმუნურ სისტემას, ზრდის მეტაბოლიზმს და კლავს პარაზიტებს. ტიბეტელი ბერები კი გვთავაზობენ ნიორის მეშვეობით სისხლისა და სისხლძარღვების განმწმენდ ელექსირს.

მომზადება და გამოყენება: 40 გრამი დაქუცმაცებული ნიორი მოათავსეთ მინის კონტეინერში და დაასხით 100 მლ სპირტი ან არაყი. ნარევი შეინახეთ გრილ და ბნელ ადგილას 10 დღის მანძილზე. ჭამამდე ნახევარი საათით ადრე მიიღეთ ნაყენის 10 წვეთი, დღეში 2-3-ჯერ. კურსი ჩაიტარეთ 10 დღის განმავლობაში, დასაშვებია 1 თვემდე.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86